# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 13 სექტემბერი, 2007 წელი.

№ 177 (5778)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


## ვინც დაგვიანა, უკვე წააგოო



**ოქრუაშვილის პარტიის სავარაუდო ოფისში მიმავალი გუნცაძე, თორთლაძე და ცაგარეიშვილი თითქოს დაბნეულნი, დამორცხვებულნი იყვნენ**

(2)

მატონი ირაკლი ასპარეზზე, ალბათ, მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, როცა სამისოდ ვითარება ყოველმხრივ მომწიფდება. ვნახოთ. დროის ზუსტად შერჩევა დიდი ნიჭია. შეძლებს ამას იგი? მანამდე კი „კოჭებში ეტყობა", მოსამზადებელი სამუშაოები თანდათან იღებს ქანს

## სადაურსა სად წაიყვან... (12)

ჩვენი წინაპრები ადრე ამაში წუთისოფელს ადანაშაულებდნენ, დღეს კი ვის გამო და რატომ გარბიან ქართველები „რეფორმატორი" ქვეყნიდან?

## ტელეფონსროლია გამგებელი, «მიუწვდომელი» გუბერნატორი და... (9)

**რად მალავენ საკუთარ ბიოგრაფიას და რად ვერ ხერხდება ხშირად სამხარეო რწმუნებულთან დაკავშირება?**

## შემოდგომის ცხელი ტერმინოლოგია

(6) ⊙ გლოსარი (7)

## დროულად მივხედოთ დემოგრაფიას, სანამ არ გადავსახევრებულვართ! (8)



გადაუდებელ საჭიროებად მიმაჩნია, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ აღადგინოს უფასო მშობიარობა, დაუყოვნებლივ აღადგინოს შვილებზე მატერიალური დახმარებები, შემოიღოს „გმირი დედის" საპატიო წოდება შვიდი შვილის ყოლის თაობაზე პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევის გათვალისწინებით

# საზოგადოება

ბატონი ირაკლი ასპარეზზე, ალბათ, მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, როცა საამისოდ ვითარება ყოველმხრივ მომწიფდება. ვნახოთ. დროის ზუსტად შერჩევა დიდი ნიჭია. შეძლებს ამას იგი? მანამდე კი „კოჭებში ეტყობა“, მოსამზადებელი სამუშაოები თანდათან ილებს ქანს



**◎ კოჭებში ეტყობა**

## ვინც დააგვიანა, უკვე წააგოო

**ოქრუაშვილის პარტიის სავარაუდო ოფისში მიმავალი გუნცაძე, თორთლაძე და ცაგარეიშვილი თითქოს დაბნეულნი, დამორცხვებულნი იყვნენ**

**ტელევიზიით** ბატონ ირაკლი ოქრუაშვილის პარტიის მართლაც ფეშენებელური სავარაუდო შტაბ-ბინა გვიჩვენეს. თუმცა, თავად „სახლიკაცი“ ჯერხანობით იქ არა ჩნდება, ყოველ შემთხვევაში, საათობით დადარაჯებულმა ჩემმა კოლეგებმა მისი არათუ მოხელთება, იმ არე-მარეზე დალანდვაც ვერ შეძლეს, ოფისში უკვე ისე შინაურულად, ასე ვთქვათ, გზაგაკვალულად მივიდნენ ბატონნი კოკა გუნცაძე და ორი გია – თორთლაძე და ცაგარეიშვილი, აშკარად, ეს მათი პირველი „სვლა“ არ იყო.

ესეც თვალშისაცემი გახლდათ – მასმედიასთან ჩვეულებრივ ენაწყლიანი ზემოხსენებული სამეული, თითქოს შეთანხმებულაო, რაიმეს თქმაზე უარის ნიშნად თავს აქნევდა, ან კომენტარის გარეშეს თუ იმეტებდნენ. მხოლოდ გია თორთლაძემ წაილუღლუღა აბეზარი ჟურნალისტებისგან დასასხლტომად რაღაც კონსულტაციები თუ მოლაპარაკებები გვაქვს მაგვარი, ხოლო ხალხზე დღენიადაგ მზრუნველმა ბატონმა გია ცაგარეიშვილმა შემოჯარულ ჟურნალისტებზეც იზრუნა, ფრთხილად, ქუჩის სავალ ნაწილზე ხართ, ვაიდა, მანქანა დაგეჯახოთო.

ჯერ ბატონ თორთლაძის დაცდენილი კონსულტაცია თუ მოლაპარაკებაა საინტერესო. თუ ჯერეთ ჩამოუყალიბებელი პარტიის ჯერეთ სავარაუდო ლიდერი უშუალოდ არ იყო ოფისში, ვისთან გამართეს კონსულტაციები თუ მოლაპარაკებები? ოქრუაშვილი ის კაცი არ არის, მესამე პირების მეშვეობით წარმართოს მოლაპარაკებები. თუმცა, საკითხსაც გააჩნია. მაგრამ ასეთი ცნობილი პერსონები რაიმე წვრილმანზე ხომ არ დახურდავდებოდნენ? ამიტომ, შესაძლოა, ბატონ ირაკლის სავარაუდო შტაბ-ბინაში შესასვლელი სხვა კარიცა აქვს. ჩემი კოლეგები კი სულ ფუჭად ჩამოწყდნენ ფეხად.

ახლა პირში წყლის ასე ჩაგუბება?! გასაგებია – მჩხავანა კატობა ყოველ საქმესა და, მით უფრო, პოლიტიკაში, ხეირს არავის დააყრის. რაიმეს თქმას დროის, ადგილისა და ვითარების ზუსტი შერჩევაც სჭირდება ხოლმე: ნაადრეობ-ნაჩქარეობას ბევრი კარგი წამოწყება დაუსამარებია, მაგრამ რომ არც მალვა-პარვით გაკეთებულა რაიმე ქვეყნის სასიკეთო? ბატონ დეპუტატებსაც, დარწუნებით ვერ ვიტყვი, მაგრამ უხერხულობა ემჩნეოდათ. ასე თავდაუჯერებულნი, ასე დაბნეულნი, თითქოსდა დარცხვენილნი; ჟურნალისტებისგან ასე აშკარად გამქცევნი ისინი ჯერ არ მინახავს. ის ხომ მაინც შეეძლოთ ეთქვათ, გადაწყვეტილება მიღებული გვაქვს – ბატონ ირაკლი ოქრუაშვილს შევუერთდით, დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს, უფრო სახელობრივად მაშინ ვილაპარაკებთ, როცა ჩამოვყალიბდებითო? ხომ საჯაროდ განაცხადა გურამ ვახტანგაშვილმა, ოქრუაშვილთან ვაროო? ესენი კი რაღაცას მიედ-მოედებიან, თითქოს არც მწვადი უნდათ დაწვან და არც შამფური, ანუ უკან დასახევ სამარქაფო გზას იტოვებენ. ამიტომ, ჩემდაუნებურად, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს გუნცაძე, თორთლაძე და ცაგარეიშვილი რაღაც საძრახისს სჩადიოდნენ და ამაზე წაასწრეს.

უფრო თამამად აიარეს კიბე, თუ კომენტარს დავუჯერებთ, „წარსულში ცნობილმა ჟურნალისტებმა“. თუმცა, იმათაც სიტყვაც არ ალირსეს ყოფილსა თუ ამჟამინდელ კოლეგებს, მაგრამ ისინი ხომ პოლიტიკოსები არ არიან?

შესაძლოა, რაკურსის ბრალიც იყო, მაგრამ ამ „ცნობილ ჟურნალისტთაგან“ ვერავინ ვიცანი. თუმცა, ეგ არაფერი. მე თუ ვერ ვცნობ, ეგ რა ბედენაა, მთავარია, ბატონი ირაკლი იცნობს. ის მედიას არასდროს სწყალობდა, მაგრამ უცილობლად გაისიგრძეგანებდა, რომ პროპაგანდის გარეშე ფონს გასვლა გაუჭირდებოდა და საამისოდაც იზრუნებდა.

ასეც უნდა იყოს – ჩვენ ყოვლად უუფლებო ქვეყანაშიც კი აქვს რაღაც ძალა თუ მნიშვნელობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს და, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, მათი მეშვეობით წარმართული გონივრული პროპაგანდისტული კამპანია ხალხზე სასურველ ზემოქმედებას აუცილებლად მოახდენს. მით უფრო, რომ გაუბედურებულ-გალატაკებული ხალხი ყოველ ხავსს ეჭიდება ხოლმე და ხშირად ავიწყდება, რომ ეს „ხავსი“ არახალია, ძველია. ხოლო გარეგნული შეცვლა არსობრივ ცვლილებებს სულაც არ ნიშნავს.

სავარაუდოდ, ბატონმა ირაკლიმ საფუძვლიანად, დიდი გაქანებით მოჰკიდა ხელი ამ საქმეს. პრესაში „ალბათობის თეორიის“ დონეზე, მაგრამ მაინც დაისტამბა, ახალი ე. წ. „სამხედრო ტელეარხი“ ოქრუაშვილისაა და ჟურნალისტებს 3-3 ათას დოლარს გადაუხდისო.

ასეთი თანხა წარსულში ყოფილ ჟურნალისტებს კი არა, ახლაც ცნობილ ბევრ ჟურნალისტსაც აცდუნებდა და ჯგროდ მიაწყდებოდა ოქრუაშვილის სავარაუდო ოფისს, მაშ, რას იზამდა?!

ძნელია მორალსა და ზნეობაზე მსჯელობა, როცა შიმშილით კუჭი გეწვის. თანაც, ამ ხელისუფლების აპოლოგეტ ჟურნალისტებზე მეტად ნამუსგარეცხილნი როგორლა იქნებიან?! თუმცა, ორი უარესიდან, სავარაუდოდ, შედარებით უკეთესის არჩევა, თავისთავად მაინც ვერაფერიშვილი არჩევანია, მაგრამ თუ სხვა არჩევანი ან მხოლოდ სულის მისატან ხელფას-ჰონორარს, ანდა სულაც უმუშევრობას ნიშნავს?

გასაგებია, რომ ასე ყოველი ბოროტების გამართლება შეიძლება, მაგრამ ვინა ვართ უცოდველნი, ვინ აიღებს პირველი ქვას?!

ბატონი ირაკლი ასპარეზზე, ალბათ, მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, როცა საამისოდ ვითარება ყოველმხრივ მომწიფდება. უნებურად გამახსენდა „დიდი“ ლენინი, ბოლშევიკური რევოლუციის დაწყების დროს რომ განსაზღვრავდა – დღეს ადრეა, ხვალ კი გვიან იქნებაო. ჰოდა, დაიწყო ცოტა ადრე და, საუბედუროდ, გაიმარჯვა კიდეც. ბატონი ირაკლი რას როგორ იზამს, თავადვე უწყის. ოღონდ, აღმოსავლური სიბრძნე გვასწავლის, ვინც დააგვიანა, უკვე წააგოო.

**ვნახოთ. დროის ზუსტად შერჩევა დიდი ნიჭია. შეძლებს ამას იგი? მანამდე კი „კოჭებში ეტყობა“, მოსამზადებელი სამუშაოები თანდათან ილებს ქანს.**

**კონსტანტინე გურგენიძე**

**◎ რეპლიკა**

## ტელეეთერს საოჯახოდ ნუ ვაქცევთ!..

**თუ მაინცდამაინც, კევი სახლში ვღეჭოთ!**

11 სექტემბერს მსოფლიო საზოგადოებრიობამ მორიგი წლისთავი აღნიშნა 2003 წლის ამ დღის ამერიკული ტრაგედიისა...

„რუსთავი-2“, რასაკვირველია, გამოეხმაურა თარიღს. 21 საათის „კურიერში“ მოვლინებულმა „დილა მშვიდობისა, საქართველოს“ წამყვანმა სიმპათიურმა ახალგაზრდა ქალბატონმა გვამცნო, რომ კომპანიის ტელეჟურნალისტები თანაუგრძნობენ ამერიკელთა მწუხარებას და ჰაერში ბუშტებს აუშვებენ. კარგი და პატიოსანი, მაგრამ დასანანი ისაა, რომ ეს გააკეთა ცოტა პრანჭვით, მომენტისათვის შეუფერებლით და კევის, ბოდიშიდა, ღლაჭუნით – მომენტისათვის კიდევ უფრო შეუფერებლით: აბა სად გლოვის დღეზე საჯარო საუბარი და სად სალეჭელათი გართობა. ამის შეხსენება ტელეჟურნალისტს როგორ უნდა სჭირდებოდეს! ეკრანს ხომ თავისი ეთიკა აქვს (უნდა ჰქონდეს!), შენს მაცქერალ მრავალრიცხოვან აუდიტორიას ხომ უნდა უწევდე ანგარიშს და პატივს სცემდე!

აქ კონკრეტულ შემთხვევაზე ვისაუბრეთ, მაგრამ საერთოდაც, ზოგჯერ ტელეეკრანზე ისე ირჯებიან, ისე უცერემონიოდ ლაპარაკობენ, ერთმანეთთან ისე „ბლატაობენ“, თითქოს საოჯახო ტელევიზორით გამოდიოდნენ: **„დღეს შესანიშნავად გამოიყურები“, „ეგ ახალი ვარცხნილობა ძალიან გიხდება“, „დაბადების დღეს გილოცავ“...**

ახლა სახელები აიღეთ: **ვაკო, ვახო, თაკო, თიკო, ნანიკო, ნანუკა, ნანკა, ნინიკო, მიშიკო...**

პირადობის მოწმობებში, პასპორტებში ასე ხომ არ ეწერებათ!

**შინაურული სახელები შინაურულია და არა ტელეეკრანზე „გასაჟღერებელი“.**



წამით არ უნდა ავიწყდებოდეთ, რომ მაყურებლის წინაშე გამოდიან და „ბლატაობა“ თუ უნდათ, კადრს მიღმა გააკეთონ ეს.

**ტელეაუდიტორიას უნდა სცემდნენ პატივს და, კიდევ – საკუთარ თავსაც...**

**ლუკა გორგაძე**

**◎ ვითარება**

## ლიტრებო, თქვენ გეუბნებით და, კოკავ, შენ გაიგონეო!

**გუშინ გორში მოვლენები ისე სწრაფად განვითარდა, რომ ხმები და ჭორები ვერ ასწრებდნენ მათს ფეხდაფეხ მიყოლას.**

ჯერ თქვეს, ქალაქის ადმინისტრაციული შენობა ალყაშიაო. მართლაც, შენობაში, სადაც მუნიციპალიტეტის გამგეობა, საკრებულო, სამხარეო ადმინისტრაცია და სხვა სამსახურებია განთავსებული, შესვლა შეზღუდული იყო. შემდეგ დაამატეს, რომ შესვლით შეხვალ, მაგრამ სამუშაო დროის დამთავრებამდე ვერ გამოხვალო.

მცირე დაბრკოლებით, მაგრამ მაინც მოვახერხე უვნებლად შენობაში შესვლაც და გამოსვლაც, სადაც ზოგი კაბინეტი უკვე დალუქული იყო, ზოგშიც სამართალდამცავები მუშაობდნენ.

დაკავებულია გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვასილ მახარაშვილი, ექსგამგებელი და გორის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნუკრი პაპუნაშვილი, ქარელის რაიონის ყოფილი გამგებელი ზურაბ ზარანდია და სხვები.

ბრალდება მძიმეა: პედაგოგების ხელფასთა დიდი ოდენობით მითვისება, მიწების უკანონოდ გასხვისება და ა. შ.

შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის მუშაკები მთელი დღე საუბრობდნენ რაიონის გამგეობის თანამშრომლებთან, ჩაჰკირკიტებდნენ საბუღალტრო დოკუმენტაციას. ხვალ-ზეგ მათ შეიძლება სხვა ბრალდებებიც წაუყენონ.

მოკლედ, ლიტრებო, თქვენ გეუბნებით და, კოკავ, შენ გაიგონეო.

**გურამ ვაშაკიძე**

**◎ ინფორმაცია**

## „აფხაზეთში ჩვენს ქონებას ვერავინ გაყიდის!“ – გვაიმედებს ნოღაიდელი

**ქართველების** ქონებას აფხაზეთში ვერავინ გაყიდის. ამის შესახებ გუშინ ჟურნალისტებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განუცხადა.

ამასთან, ნოღაიდელმა ეს კომენტარი გააკეთა აფხაზური მხარის მიერ გავრცელებულ მოთხოვნაზე, რომ საქართველომ ომის დროს აფხაზეთისთვის მიყენებული ზარალის სანაცვლოდ 11 მილიარდი დოლარი უნდა გადაიხადოს.

მისი თქმით, აფხაზეთში სამართლიანობა აუცილებლად აღდგება და საქართველოს მოქალაქეები თავიანთ ქონებასა და კერძო საკუთრებას დაიბრუნებენ.

**ინტერპრესნიუსი**

№ 177. ხუთშაბათი. 13 სექტემბერი. 2007 წელი.

# სახელმწიფო

მცირე და საშუალო ბიზნესს სჭირდება სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა და მთავარი აქ გადასახადების შემცირება შეიძლება სულაც არ იყოს (თუმცა გარკვეული ნაბიჯები ამ მხრივაც აუცილებლად უნდა გადაიდგას); არანაკლები შედეგის მომტანია მისთვის „თავის დანებება" და კონტროლის და საჯარიმო სანქციების შემცირება



განსჯა

# როსთვის არსებობს სახელმწიფო?!

## ანუ რატომ ვითარდება ამერიკის ეკონომიკა ღამით და „დღევანდელი კვერცხის" პრინციპს გამოდევნებულნი ხვალისთვის რად არ ვტოვებთ „ქათმის ბუნდღასაც" კი!

ბოლო წლებში, განსაკუთრებით 2005 წელს ახალი საგადასახადო კოდექსის შემოღების შემდეგ, საქართველოში საგადასახადო ტვირთი ნამდვილად შემცირდა, თუმცა მისი დონე იმ ზღვარზე, რომელიც სერიოზულად აფერხებს ბიზნესის განვითარებას, სპეციალისტების შეფასებით, სულ ცოტა, ჯერ კიდევ 1.5-ჯერ და მეტად მაღალია. მეორეც, **გადასახადების შემცირების „ჩანაცვლება" მნიშვნელოვანწილად განხორციელდა მომსახურების ტარიფების, სხვადასხვა გადასახდელებისა და ჯარიმების აწევით.** საჯარიმო სანქციები ბოლო წლებში იქცა არ მარტო ეკონომიკის, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს თანმხლებ ნორმად. მაგალითად, საფრანგეთში საქართველოსთან შედარებით 13.8-ჯერ მეტი ადამიანი ცხოვრობს, რაოდენობით კი მხოლოდ 3.3-ჯერ მეტი პატიმარი ყავთ. (იხ.: Саеркози нарушил многолетнюю традицию. 09.07.2007 04:46 - **ლენტა.რუ.**), ანუ მოსახლეობის ერთსა და იმავე რაოდენობაზე საფრანგეთს საქართველოსთან შედარებით 4.2-ჯერ ნაკლები პატიმარი ყავს. ეს სარკოზის შინაგან საქმეთა მინისტრობის პირობებში, რომელმაც სახელი გაითქვა, როგორც მკაცრი კურსის გამტარებელმა და დანაშაულებისადმი შეურიგებელმა მინისტრმა. თანაც, ქვეყანაში, რომელსაც გადაუარა ეთნიკური შეურიგებლობის ტალღამ, რის გამოც რამდენიმე კვირის განმავლობაში მეხუთე რესპუბლიკის მომავალი სერიოზულ განსაცდელში იყო.

ფაქტობრივად, ბიზნესს არ უგრძვნია არსებითი შელავათი საგადასახადო პროცესის ლიბერალიზაციისაგან, ხოლო ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირებისა და საჯარიმო სანქციების გაზრდის გამო მეწარმეებს თავისუფალი სახსრები აღარ რჩებათ რეინვესტირების, ბიზნესის განვითარებისათვის. როდესაც პურის ფურნეს, რომელსაც დღეში 50 ლარის ბრუნვა აქვს, აჯარიმებ 500 ლარით ორიოდე ლავაშის უქვითროდ რეალიზაციისათვის, იქ ბიზნესის გაფართოების, საერთოდ წარმოების გაგრძელებაზე მისი მფლობელების სურვილს სერიოზულ დარტყმას აყენებ. — **ამ დროს ადგილი აქვს იმ რესურსების ბიუჯეტის სასარგებლოდ მობილიზებას, რომელიც უშუალოდ ბიზნესს უნდა დარჩენოდა, საფუძვლად დადებოდა ეკონომიკის შემდგომ ზრდას. მეწარმისაგან ამოღებული ეს თანხა შეიძლება დღეს ზრდის ბიუჯეტს, მაგრამ ძირშივე კლავს მცირე ბიზნესის გაფართოების, რეინვესტირების შესაძლებლობას და „დღევანდელი კვერცხის" პრინციპს გამოდევნებისას ხვალისათვის „ქათმის ბუნდღასაც" კი აღარ ტოვებს.**

ხელისუფლების გადადგმული ნაბიჯები სანქციების, ჯარიმების გაძლიერების, საკუთრების ხელყოფის მიმართულებით არ ემსახურება ქვეყანაში ნორმალური სამეწარმეო გარემოს შექმნას. ოპოზიციის, საზოგადოებრივი აზრის მუდმივი იგნორირება და ამით მმართველ ძალასა და დანარჩენ საზოგადოებას შორის დისტანცირების ზრდა კი სერიოზულ საფრთხეს უქმნის არა თუ ეკონომიკურ ზრდას, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას, არამედ სახელმწიფოებრივ სტაბილურობას.

მცირე და საშუალო ბიზნესს სჭირდება სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა და მთავარი აქ გადასახადების შემცირება შეიძლება სულაც არ იყოს (თუმცა გარკვეული ნაბიჯები ამ მხრივაც აუცილებლად უნდა გადაიდგას); არანაკლები შედეგის მომტანია მისთვის „თავის დანებება" და კონტროლის და საჯარიმო სანქციების შემცირება.

გადასახადების ზრდას აქვს თავისი ზღვრული დონე, რომლის მიღმაც მისი გაზრდა საერთოდ ეკონომიკურ განვითარებაზე, ეკონომიკის ხვალინდელ დღეზე ნეგატიურად მოქმედებს. ამიტომ გამოსავალი, გადასახადების შემცირების პარალელურად, **სახელმწიფო ხარჯების შემცირებაა!** ისეთი არამდიდარი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, ზოგიერთი სახის არაპირველხარისხოვანი საზოგადოებრივი სამუშაობის შესრულება, ხშირად არაერთჯერადადაც (მათ შორის დაკავშირებული შადრევნების და ატრაქციონების დემონტაჟთან და სხვაგან გადატანასთან, გზების საფარის ხელახალ დაგებასთან და ა.შ.), იმ დროს, როდესაც სახელმწიფოს ჯერაც არ გაუსტუმრებია 1998-2003 წლებში საბიუჯეტო ორგანიზაციებში წარმოქმნილი სახელფასო დავალიანებები, ეკონომიკურსა და სამართლებრივთან ერთად, ეთიკურადაცაა შესაფასებელი.

ფასების ზრდას უკვე სტატისტიკის დეპარტამენტიც „ველარ შველის". მაგალითად, „ვარდების რევოლუციის" შემდეგ გავლილ სამ წელიწადში საშუალოდ ერთ შინამეურნეობაზე რეალურ განზომილებაში შემოსავლები გაიზარდა მხოლოდ 2.6 პროცენტით, ხარჯები კი არათუ გაიზარდა, შემცირდა კიდეც 7.5 პროცენტით. ფასების ზრდამ დაარტყა აბსოლუტურად ყველა სოციალურ ფენას და სხვადასხვა შემოსავლის მქონე შინამეურნეობას, თუმცა, ყველაზე მწვავედ — დაბალშემოსავლიანებს. საქართველოს სინამდვილეში ეკონომიკის ზრდა, იმის გამო, რომ იგი ჯერჯერობით ვითარდება სეგმენტურად და არა სისტემურად, თითქმის ვერავითარ კორელაციას ძვერ ახერხებსძ სიღარიბის შემცირებასთან, რეალურ განზომილებაში კი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის კეთილდღეობა მცირდება კიდეც. — ღარიბი შინამეურნეობების რაოდენობა მარტო ბოლო ერთი წლის განმავლობაში, სულ ცოტა, 60 ათასით გაიზარდა.

ზოგადად, **საშიშია არა სიღარიბე, არამედ მისი სოციალურად კვლავწარმოებადი ხასიათი. ხელმიუწვდელობა სოციალურ-ეკონომიკური დოვლათისადმი კი არა, როგორც ახლაა, არამედ ნაკლებადუზრუნველყოფილობა უნდა იყოს სიღარიბის ძირითად ნიშანი.** სიღარიბეში მოხვედრის შემდეგ სულ უფრო ძნელდება მისგან თავის დაღწევა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თითქმის ყველა აზიმუტის მიხედვით. შრომის ბაზარზე კონკურენტულ გარემოს სჭირდება შესაბამისი ხარისხიანი განათლება, უფასოდ ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა კი სულ უფრო ნაკლებად შესაძლებელი ხდება. იმ დროს, როდესაც განათლება, ჯანდაცვა, კვალიფიკაციის ამაღლება სულ უფრო მეტად გადადის კომერციულ საწყისებზე, სიღარიბის წინაღმდეგ ბრძოლაში აუცილებელია შინამეურნეობებს დაეხმაროს სახელმწიფო. აქ იგულისხმება არა მარტო სწავლების, სამედიცინო დახმარების უფასო ქსელი, არამედ გარკვეული ბონუსების, სტიპენდიების, პენსიების სისტემის განვითარება. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების რაც შეიძლება ფართო მასის (და არ მხოლოდ ერთი, მმართველი) პარტიის წარმომადგენლების აღმავალი სოციალური მობილურობის შენარჩუნებას; „ერთი გუნდის" პრინციპი მხოლოდ ერთ პარტიაზე და მოძრაობაზე არ უნდა იყოს გავრცელებული.

ვიმეორებ, თავისთავად საში**შია არა სიღარიბე, არამედ მასში ხანგრძლივად დარჩენის ალბათობა.** თუკი ეს მდგომარეობა გრძელდება დაახლოებით 5-7 წელი, შემდეგ მისგან თავის დაღწევა, ფაქტობრივად, უკვე შეუძლებელია. — ადამიანი, ოჯახი ღარიბთა კატეგორიაში „მარადიულად" რჩება. — კი, მას ეზრდება შემოსავლები, საშინაო ქონების ელემენტების პერიოდული განახლებაც ხდება, მაგრამ ეს მზარდი კეთილდღეობა ქრონიკულად ჩამორჩება ასევე მუდმივად მზარდ (რაოდენობითა და ღირებულებით) ცხოვრების სტანდარტებს. ამასთან, სიღარიბის საკმარისად ხანგრძლივი დროის შენარჩუნების შემთხვევაში იკარგება ადამიანური, სამეზობლო, ნათესაური და ა.შ. სოციალური კონტაქტები.. ხდება საზოგადოების ატომიზაცია. მაგალითად, შემოსავლების მიხედვით დეცილური კოეფიციენტი (მოსახლეობის ყველაზე მაღალშემოსავლიანი 10 პროცენტის შემოსავლების თანაფარდობა ყველაზე დაბალშემოსავლიანი 10 პროცენტის შემოსავლებთან) თითქმის 30-ის ტოლია. ამავე დროს, თავად ეს ჯგუფებიც აღარაა ერთგვაროვანი. ყველაზე მაღალშემოსავლიანთა 10 პროცენტი (შინამეურნეობათა 91-100%-იანი შუალედი) აერთიანებს სამი სხვადასხვა სოციალური ჯგუფის (საშუალო კლასის ზედა ფენა, შეძლებულები და მდიდრები) წარმომადგენლებს. ამასთან, იმ ოჯახების საშუალო შემოსავლები, რომლებიც 91-93%-იან შუალედში იმყოფებიან, 3.5-ჯერ ჩამორჩება იმათ შემოსავალს, ვისი შემოსავლებიც 98-100%-იან შემოსავლიანთა ჯგუფში...

ადამიანთა უმრავლესობას ეკონომიკურ უთანაბრობაზე მეტად **უსამართლო უთანაბრობის** შემთხვევები აღელვებს. **უთანაბრობის შემთხვევები ლეგიტიმური უნდა იყოს.** ბევრ ქვეყანაში ხელმძღვანელის შრომა დაახლოებით 10-ჯერ აღემატება სიღარიბის დონეს და ეს მიჩნეულია ნორმალურ ფონად. საქართველოში ამ მხრივ ყოველგვარი რეკორდია მოხსნილი — ვარიაცია საარსებო მინიმუმზე ნომინალურად მნიშვნელოვნად დაბალი ანაზღაურებიდან მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით აშშ-ის სახელმწიფო მდივნის გასამრჯელოს ეკვივალენტამდეა.

და ბოლოს, სახელმწიფოს წარმატებულობაზე საუბარი შეიძლება არა იმდენად ეკონომიკური ზრდის ტემპით, მით უფრო, არა „რეფორმების განხორციელების ხარისხით", არამედ მისი დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებითა და მთელი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებით. თუ როგორ „ამაღლდა" კეთილდღეობა, ამაზე ინფორმაცია ზემოთ იყო მოტანილი. მოსახლეობის რიცხოვნობა მცირდება ცალკე შობადობის შემცირებისა (1990-იან წლების დასაწყისთან შედარებით განახევრებისა) და ცალკე — ყველაზე შრომისუნარიანი, კვალიფიციური და რეპროდუქციულ ასაკში მყოფი მოსახლეობის საქართველოდან გადინებით. სტატდეპარტამენტის ოფიციალური მონაცემებით, მარტო 2006 წელს ქვეყნის მოსახლეობა 12 ათასით შემცირდა, მაშინ როცა ადრეულ წლებში (1990-იან წლებამდე) იგი (ძირითადად ბუნებრივი მატების ხარჯზე) ყოველწლიურად 60 ათასით იზრდებოდა.

...სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა უაღესად რთული და შრომატევადი პროცესია, იგი მთელი საზოგადოების, „ერისა და ბერის" ერთობლივ ძალისხმევას და თავდადებას მოითხოვს.. წარმატება კი საზოგადოების რესურსულ უზრუნველყოფაზე მეტად საზოგადოებრივ სამართლიანობასა და თამაშის საერთო, ერთიანი წესების დაცვასა და „ტოტალურ დემოკრატიაზე" გადის.

ეს ხალხმა უნდა იცოდეს.

ხელისუფლებამ კი — არ დაივიწყოს...

**იოსებ არჩვაძე**

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 176.

ინფორმაცია

## ხელისუფლება სკოლებსა და ბაგა-ბაღებს ყიდის

„საქართველოს ლეიბორისტული პარტია" ხელისუფლებას სკოლებისა და ბაგა-ბალების შენობა-ნაგებობების გაყიდვის მცდელობაში ადანაშაულებს.

როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა სოსო შატბერაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ხელისუფლებას უკვე გამზადებული აქვს 50 სკოლა-ბაგა-ბაღის შენობა, რომლებიც ეკონომიკის სამინისტროს საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში შევა.

მან მიმართა ბიზნესმენებს, რომელთაც, შესაძლოა, აღნიშნული შენობების შეძენის სურვილი ჰქონდეთ, რომ ბაგა-ბაღები, სკოლები და უმაღლესი სასწავლებლების შენობები კანონითაა დაცული და მათი პრივატიზაცია კანონით ისჯება.

მისივე თქმით, იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესის წარმომადგენლები მაინც შეიძენენ შენობებს, ხელისუფლება აუცილებლად ჩამოართმევს ამ ქონებას და მათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაშიც მისცემს.

## ზურაბიშვილისთვის ფრადკოვი და ივანოვი ერთი და იგივე დათვია

საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის" თავმჯდომარის დავით ზურაბიშვილის აზრით, რუსეთში მიმდინარე პროცესები, კერძოდ მთავრობის შეცვლა, საქართველოსთან ურთიერთობებზე რეალურად არ აისახება.

როგორც ზურაბიშვილმა განაცხადა, საქართველოსა და რუსეთის გეოპოლიტიკური, სტრატეგიული ინტერესები იმდენად განსხვავებულია, რომ მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება რუსეთის მთავრობაში.

მისივე თქმით, რუსეთს ობიექტურად არ აწყობს საქართველოს „კარგად ყოფნა", საქართველოს კი — რუსეთის გაძლიერება, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში რუსეთი ფიქრობს, რომ კავკასიაში ექსკლუზიური უფლებები აქვს.

ზურაბიშვილი აღნიშნავს, რომ უახლოესი ისტორიიდან გამომდინარე, საქართველოსთან რუსეთის დამოკიდებულება, მთავრობისა და პრეზიდენტის შეცვლის მიუხედავად, მაინც ერთნაირი იქნება.

როგორც ცნობილია, რუსეთის მთავრობა გუშინ გადადგა. სავარაუდოდ, მთავრობის მეთაურ ფრადკოვს, სერგეი ივანოვი შეცვლის.

## აზერბაიჯანული გაზის ფასი არ გაიზრდება

აზერბაიჯანული ბუნებრივი გაზის ფასი საქართველოსთვის არ გაიზრდება. ამის შესახებ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა განაცხადა.

მისივე თქმით, აზერბაიჯანთან მოლაპარაკებები პერიოდულად მიმდინარეობს, ხოლო ძველი მაგისტრალური გაზსადენით გაზის მიღებაზე კონტრაქტი, რომელიც აგვისტოს ბოლომდე იყო გაფორმებული, გაგრძელდა.

ზამთრის თვეებში მოსალოდნელია გაზის მიწოდების აღდგენა რუსეთიდან.

ინტერპრესნიუსი

№ 177. ხუთშაბათი, 13 სექტემბერი, 2007 წელი.

● არ შეიძლება „თავის უფალი" იყოს ადამიანი, რომელსაც სამუშაო და თავის სარჩენი შემოსავალი არ აქვს და რამდენიმე თეთრის სათხოვნელად ღირსებადაკარგული მზერით ქუჩაში გამვლელ-გამომვლელს თვალებში შესციცინებს, ზოგი — ხატით ხელში, ზოგიც, ხშირად, პატარა ბავშვთან ერთად!..



◎ აზრი

# საქართველოს ღარიბ-ლატაკი მოსახლეობა „თავის უფალი" არ არის!

**დიახ, საქართველოს ღარიბ-ლატაკი მოსახლეობა „თავის უფალი" ნამდვილად არ არის!**

**...რადგან არ შეიძლება** „თავის უფალი" იყოს ადამიანი, რომელსაც სამუშაო და თავის სარჩენი შემოსავალი არ აქვს და რამდენიმე თეთრის სათხოვნელად ღირსებადაკარგული მზერით ქუჩაში გამვლელ-გამომვლელს თვალებში შესციცინებს, ზოგი — ხატით ხელში, ზოგიც, ხშირად, პატარა ბავშვთან ერთად!..

**...რადგან არ შეიძლება** „თავის უფალი" იყოს ადამიანი, რომელიც „ვიყიდი-გავყიდის" გზით თავის გატანის (და არა ცხოვრების) საშუალება მოუნახავს და დღენიადაგ იმის შიშშია, კალათი არ გადაუყარონ და იმ ადგილიდან არ გააგდონ!..

**...რადგან არ შეიძლება** „თავის უფალი" იყოს ადამიანი, რომელიც საპარლამენტო ან სხვა სახელისუფლებო არჩევნებში მონაწილე მავანი გაქსუებული კანდიდატის „მორთმეულ" საცოდავ ძღვენს (სურსათს) მადლობით ღებულობს, რათა შემდეგ მას არჩევნებზე წაჰყვეს და ხმა მისცეს...

**...რადგან არ შეიძლება** „თავის უფალი" იყოს ხანდაზმული ადამიანი, რომელმაც თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი თურმე ქიმერული სოციალიზმის „მშენებლობას" შეალია და დღეს თვის მანძილზე ხუთიოდე დღის სამყოფ პენსიას ღებულობს... თან მისგან კომუნალური გადასახადების დროულად გადახდას მოითხოვენ და შუქის, გაზისა და წყლის გათიშვით ემუქრებიან...

**...რადგან არ შეიძლება** „თავის უფალი" იყოს პიროვნება, რომელიც გარშემო გულგრილ, გათითოკაცებულ ადამიანებსა და მაღლა ცისკენ და არა მისკენ მაცქერალ ხელისუფლებას ხედავს...

ყოველივე ეს რომ ერთეული შემთხვევა იყოს, კიდევ პო, მაგრამ ყველამ ხომ ვიცით, რომ ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ასეთ პირობებშია (საგანგებოდ არ ვიყენებ რაიმე დამადასტურებელ ციფრობრივ მაჩვენებელს)...

არადა, რა დიდებული სიტყვაა: **„თავისუფლება!"**

...როგორც ეს საერთოდ ხდება, ახლაც იმედგაცრუებულ მოსახლეობაში გასული საუკუნის 90-ანი წლების **„სა-თავისუფლებო"** ალტკინება და ამ ოთხიოდე წლის წინანდელი **„სა-კმარო"** აჟიოტაჟი უკვე გაიფანტა.

გ ა ი ფ ა ნ ტ ა, **რადგან მშიერი, ლატაკი და უსახლკარო ადამიანი არ შეიძლება იყოს თავისუფალი!** „მეფეს" მიჩვეულებს კი ლატაკთა და მკოდოვანთა მეფე არა და არ გამოგვიჩნდა!

ეს სოციალური სატკივარი საუკუნეების ხანდაზმულობისაა. აკი მეგრული ურმულის სევდიან სიმღერაშიც ასევეა ნათქვამი: „ღარიბ ვორექ, **მდიდარს** მეუნს ჩქიმი სკვამი ყოროფილი" („ღარიბი ვარ, **მდიდარს** მიჰყავს ჩემი ლამაზი შეყვარებული")...

მხოლოდ გალაკტიონი ჰქუხდა: **„თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს — წყარო ანკარა..."** დიახ, მაგრამ ეს პოეზიაა!

„თავისუფლება" ღვთითბოძებული საყოველთაო სახალხო მადლი და სიკეთეა და არა ერთის ბედნიერება და დანარჩენთა სილატაკე!

ამიტომ იმედგაცრუებული მოსახლობა დღეს მხოლოდ **უფალს შეჰყურებს!** აკი ფსალმუნშიც ასეა: **„ვითარცა სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრეთ სურინ სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო."**

დიახ, დღეს მხოლოდ მაღალი ღმერთია საქართველოს და მისი მოსახლეობის შემწე და მფარველი!

მკითხველი ალბათ მიმიხვდება, რომ აქ „მოსახლეობაში" არ ვგულისხმობ მის მცირე უმცირესობას: „ახალ ქართველებსა" და ხელისუფლებას!

ამ პატარა წერილში, მიუხედავად პრეზიდენტის აკრძალვისა, მრავალჯერ გამოვიყენე სიტყვა „მოსახლეობა". არადა, ჩვენმა პრეზიდენტმა, ხომ ახლახან, 2007 წ. 22 ივლისს ეს სიტყვა უშინაარსო სტატისტიკურ ცნებად შერაცხა და მის **ნაცვლად(?)** ცნება „საზოგადოება" შემოგვთავაზა, როგორც „შეგნებულ პიროვნებათა ერთიანობა"(?). „მოსახლეობის" ნაცვლად „საზოგადოება" იხმარეთო!

„მოსახლეობა", ხელისუფლების აზრით, როგორც ჩანს, **შეუგნებელ პირთა... ერთობლიობაა (და არა ერთიანობა).** მაგრამ მოსახლეობაც ხომ იგივე „ხალხია". იქნებ მეტყველებაში, და საერთოდაც, როგორც „უშინაარსო" სტატისტიკური ცნება, არც სიტყვა „ხალხი" ვიხმაროთ, ისევე როგორც „ეროვნების" ცნებას შეველიეთ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში?

პრეზიდენტი უკვე საუკუნოვანი ქართული სიტყვების ახალ მნიშვნელობასაც „გვიხსნის" და მათი ხმარების წესს „გვასწავლის".

„მოსახლეობისა" და „ხალხისადმი" პატივისცემის გამოხატვის კლასიკურ ნიმუშს გვთავაზობს.

... და ასეთები გვინდა ვიყოთ „თავისუფალი"? — არა, ბატონებო! ღარიბ-ლატაკი ვერც თავისუფლებას იგუებს და არც დემოკრატიას!

თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ბრძოლას დიდიხანია გადავეჩვიეთ. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ეროვნული თავისუფლება ჩვენ (და სხვებსაც) თითქმის გვაჩუქეს, დღეს კი რეალური თავისუფლება უფრო ძნელი მოსაპოვებელი გაგვიხდა, რადგან ახლა ეს ეკონომიკურ მყობადობასა და სილატაკისგან თავის დახსნასაც ნიშნავს! ეს კი გაცილებით ძნელია, ვინემ იარაღით ხელში ბრძოლა.

სილატაკის დაძლევის ნიშნები კი, ჯერჯერობით, ჰორიზონტზეც არა ჩანს! უფრო პირიქით! **საუბედუროდ, ჩვენ მივეჩვიეთ სიღარიბეს!**

დიახ, დღეს მხოლოდ მაღალი ღმერთია საქართველოს და მისი მოსახლეობის შემწე და მფარველი!

მართალია, ამასაც დრო უნდა, მაგრამ, ნუთუ ასე ძნელია ხელის გაქნევა და ცურვის სწავლა? ნუთუ დღესაც გამართლდება ბიბლიური „რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება; არაფერია მზისქვეშ ახალი"... (ეკლ. 1.9).

ღმერთმა ნუ ჰქნას!

**ამირან გაბისონია**

◎ რთველი — 2007

# მალე ჩადგება ქიქაში ქარვა...

**„ვაზო შვილივით ნაზარდო"**, უმღეროდა ქართველი კაცი ღვთივკურთხეულ მცენარეს და ვინც იცის მისი ყადრი, ვისაც მოუვლია ვაზისთვის, დამეთანხმება, რომ ამ სიტყვებში მისხალიც არ არის გადაჭარბებით ნათქვამი. ვერც განსაცდელმა, ვერც ჭირმა, ვერც მავანთა „მუქარამ" ქართველ კაცს ვაზზე ხელი ვერ აალებინა.



ისიც, რაც მეტ გულმოდგინებას გრძნობს კაცისას, მით მეტად უფასებს ამაგს. ვაზი ძირის ძირობამდე ოდენ ყურადღებას კი არა ლოლიავსაც ითხოვს, ზერელე და მიფუჩეჩებული საქმე მევენახეს ხეირს არ დააყრის. ჩვენს წინაპარს არც ეგ ეშლებოდა, შრომაში მუდამ მუყაითი, იყო. გარჯაც კარგი იცოდა და მოლხენაც ლაზათიანი. სოფლად რთველი ყოველთვის დიდი დღესასწაულია, რომელიც აგვირგვინებს გლეხკაცის თავდაუზოგავ შრომას. წლეულს რთველის სეზონი სოფელ სამთაწყაროდან და ფიროსმანიდან დაიწყო. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა **დავით ლეკიშვილმა** ჩვენთან საუბრისას გვითხრა: ყველაფერი გავაკეთეთ საიმისოდ, რომ მოსახლეობამ მოწეული ყურძენი ადგილზე გაყიდოს. მიღებული მოსავლიდან 40 ტონა ყურძენი უკვე შეიძინეს ქობულეთელებმა და აჭარის მაღალმთიან სოფლებიდან ჩამოსულმა მოსახლეობამ, სოფლის მეურნეობის სამინისტროდან არიან ჩამოსული სპეციალისტები სამთაწყაროსა და ფიროსმანში და საქმიანი ურთიერთობაც აქვთ გლეხობასთან.

საუბარში გვერევა დედოფლისწყაროს მეღვინეობისა და მევენახეობის კავშირის თავმჯდომარის მოადგილე გოდერძი გონაშვილი — წლეულს სამთაწყაროელები 1500 ტონა ყურძენს მოკრეფენ, ხოლო ფიროსმანში — 400 ტონას. მევენახე დაინტერესებულია ყურძნის მაღალი ფასით, მყიდველი კი ყურძნის მაღალი ხარისხით. საბაზრო ფასი 15-დან 20 თეთრამდე იქნებაო...

უფრო მაღალი ხარისხის ყურძნის მოსავალს ელიან არხილოსკალოს მიკროზონაში, ჯერ აქ ყურძენი არ დამწიფებულა.

სამთაწყაროელმა მევენახემ **არჩილ ბულულაშვილმა** მითხრა: — ტონანახევარი რქაწითელი მივილე და 15 თეთრად დამენანა გაყიდვა, ერთიანად დავწურე, 5 ტონა „საფერავის" ჯიშის ყურძენი მაქვს გასაყიდი. თუ დროზე ვერ გავყიდე, 3 ტონამდე „ჩამოვა" მოსავალი.

მევენახე **შოთა სარდალაშვილი:** — 2000 ლარი ვალი ავიღე, რათა ვენახისთვის მომევლო. 20 თეთრად რეალიზაციის პირობებში დანახარჯსაც, ვერაფრით ავინაზღაურებ.

სექტემბრის დამლევს რთველი გადამწვეტ ფაზაში შევა სოფლების ქუმბათისა და ხირსის ტერიტორიაზე, სადაც ზემომაჩხაანელების და არბოშიკელების ვენახებია გაშენებული. აქ შედარებით უკეთესი ხარისხის ყურძენია მოსაკრეფი და საბაზრო ფასიც შესაბამისად ჩამოყალიბებულია, აქედან ხუთი ათასი ტონა ყურძნის მოსვლას ელიან მევენახეები.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ გელა თეთრაულმა განაცხადა, რომ დედოფლისწყაროში რთველი, ძირითადად, სექტემბრის შუა რიცხვების მერე იწყება, გამონაკლისია ფიროსმანი და სამთაწყარო.

ასე რომ, შემოდგომის პირველ თვეს რთველის სეზონი დაიწყო, ხოლო, ტრადიციულად, ღვინობისთვეში სოფელ მირზაანში შრომისა და ხელოვნების დღესასწაული „ფიროსმანობა" გაიმართება.

**ჭიქაში ჩამდგარი ქარვისფერი ღვინის შუქზე დანახული ეს ქვეყანა კი, მოგეხსენებათ, უფრო ხალისიანი და მიმზიდველია.**

**ნანა ჭიჭინაძე**
**„სრ". საკ. კორ.**

◎ ინფორმაცია

## დირექტორმა თანამდებობა დატოვა

**„ფონდი — ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს"** აღმასრულებელი დირექტორი ლაშა შანიძე თანამდებობას ტოვებს.

როგორც შანიძემ განაცხადა, იგი დაკავებული თანამდებობიდან საკუთარი სურვილით მიდის და მოღვაწეობას კერძო ბიზნესში გააგრძელებს.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი გიორგი არველაძე შანიძის თანამდებობიდან წასვლის კონკრეტულ მიზეზებზე არ საუბრობს და აცხადებს, რომ, უბრალოდ, ცვლილება ფონდის საქმიანობის განახლებას უკავშირდება.

## მკვლელობა მოსკოვის გამზირზე

**თბილისში**, მოსკოვის გამზირზე ახალგაზრდა ქალი ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლეს.

29 წლის მაშა ძერევიანსკაია საკუთარ ბინაში დედის მეგობარმა, ინგა გრძელიძემ ეჭვიანობის ნიადაგზე გუშინ ღამით მოკლა.

ძერევიანსკაიას სასიკვდილო ჭრილობები მუცლის, კისრისა და გულ-მკერდის არეში აქვს მიყენებული.

ეჭვმიტანილი დაკავებულია, ამოღებულია მკვლელობის იარაღი.

**ინტერპრესნიუსი**

№ 177. ხუთშაბათი, 13 სექტემბერი, 2007 წელი.

# საფიქრალი

● დროებით შევეშვათ შადრევნებს, კარუსელებს, სკვერებს, რაცა გვაქვს, იმით დავკმაყოფილდეთ და გლეხობას – სოფელს მივხედოთ



⊙ გვწერენ

# თუ „თავკომბალას“ კუდი მოსწყდა,

## მაშინ ამ „კუდს“, ანუ სოფლებს, უცხო თესლი დაეპატრონება

**საქართველო** მარტო თბილისი, ბათუმი და სიღნაღი რომ არ არის, ეს ყველასთვის დღესავით ნათელია. სამი ქალაქის „აყვავება“, გალამაზება და დანარჩენი საქართველოს მიტოვება ქვეყანას სიკეთეს ვერ მოუტანს. უპატრონოდაა დარჩენილი ჩვენი სოფლები. მიტოვებულთა შორისაა სოფელი დიღომიც, სოფელი, რომელიც დედაქალაქზე მეტი ხნისაა.

დედაქალაქისა და დიღმის ბედი ჯაჭვივითაა გადაბმული. იგი ყოველთვის მხარში ედგა თბილისს და მის ჭირვარამს იზიარებდა. ადრე სოფელი მიწის დიდ ფართობებს ფლობდა. მტკვრის მარჯვენა ნაპირი, დაწყებული ზაჰესიდან, დამთავრებული მარშალ გელოვანის ალმართამდე, ხოლო დასავლეთით ლელობის ჩათვლით (ეს ის ლელობია, წიკლაურმა ვეფხვი რომ მოკლა), დიღმის დაქვემდებარებაში იყო. მდინარე მტკვრის პირას, სადაც გლეხებს ნაკვეთები ჰქონდათ, „ჭალებს“ ეძახდნენ. აქ მოყვანილი ხილი და ბოსტნეული იყო უგემრიელესი. გადმოცემით, იმისთანა გემრიელ ატამს ველარსად იგემებდით. მოწეული მოსავალი „ტაჭკა-ტაჭკაზე“ მიდიოდა თბილისის ბაზრებში. დღეს ეს „ჭალები“ ებრაელმა ბიზნესმენებმა იყიდეს.

ასე თანდათანობით, დედაქალაქის გაფართოების მიზნით, დიღომმა დათმო „სამხედრო გზის“ ქვედა მზარე. ამასაც არ დასჯერდნენ და გზის ზემოდან ჯერ „ვაშლიჯვარი“ და შემდეგ „დიდი დიღომიც“ მიაყოლეს. არადა, იგი ყოველთვის მთავარი მომმარაგებელი იყო დედაქალაქისა როგორც ბოსტნეულით, ისე მწვანილით, ხილით, ხორცით და რძის ნაწარმით. ადრე სოფელი სიმცირის გამო, ასე თუ ისე, დაკმაყოფილებული იყო სარწყავი წყლით. ის მდ. დიღმურას გადაკეტვით შემოდიოდა სოფელში. დღეისთვის არხები ისეა ჩაბინძურებული და ნაგვით გადავსებული, შეუძლებელია, სოფელში წყლის შემოყვანა. რაც შეეხება „დიდი დიღმის“ ველებს, სამი სარწყავი არხი ემსახურებოდა, მესამე მთების ძირამდე მიდიოდა. წყალი მდ. მტკვრიდან იქაჩებოდა. ასე რომ, აქ მოურწყავი ერთი მეტრიც არ რჩებოდა და შესანიშნავი მოსავალიც მოდიოდა. მასივის გაშენებამ მთლიანად მოსპო სარწყავი არხები. მარტო დიღომი არ არის ამ დღეში...

ერთი სიტყვით, თბილისი ვალშია სოფლის წინაშე. ამასთან, დიღმელებს იმედი აქვთ იმ მიწების დაკანონებისა, რომლებიც განაწილების შედეგად ერგოთ. თუ კერძო საკუთრებაა, კეთილი ინებეთ და დაუკანონეთ. დიღომში ათეული წლების განმავლობაში მრავალი პრობლემა დაგროვდა. ისინი ვერ გადაჭრა ვერც კომუნისტების დრომ და ვერც ახლანდელმა ხელისუფლებამ. დღეისათვის დიღომი დედაქალაქის დაქვემდებარებაშია. სამწუხაროა, რომ დღეს თანამდებობებზე მყოფ ახალგაზრდებს ნაკლებად აწუხებთ ქვეყნის ბედი და უფრო პირადი ინტერესებით არიან დაკავებულნი. ამიტომაა, რომ დღეს ჩვენს სოფლებში ისეთი საკითხებიც ვერ წყდება, რომლებიც ფინანსებს საერთოდ არ მოითხოვს. ამისთვის მხოლოდ ხელმძღვანელთა ინიციატივა და ხალხის გაყოლაა საჭირო. ამის მიზეზი კი მთავრობისგან კონტროლისა და მომთხოვნელობის არარსებობა გახლავთ.

თუ დროზე არ მივხედეთ სოფლებს, ყველგან არ მოგვარდა სასმელი და სარწყავი წყლის პრობლემები, ჩვენი სოფლის ბავშვებს და ახალგაზრდობას არ გაუკეთდებათ ისეთივე სასპორტო მოედნები, არ აუშენდებათ ისეთივე სკოლები, როგორიც დედაქალაქშია, არ შეკეთდება და არ მოასფალტდება, ოღრო-ჩოღრო გზები, ჩვენ გლეხობას სახელმწიფოსგან არ მიეცემა დახმარებები მეურნეობის ასაღორძინებლად, რაიონებში და სოფლებში არ აშენდება მცირე და საშუალო დონის საწარმოები, იმ კუთხისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი სიმდიდრიდან გამომდინარე, ქართველი გლეხის მოყვანილ პროდუქციას ფასი არ დაედება, სოფლად არ აღორძინდება კულტურული ცხოვრება, ჩვენი ქვეყნის ნებისმიერ რაიონსა თუ სოფელში კანონი არ იკანონებს, მთელი თავისი უზენაესობით და ისინი დარჩებიან ისევ უპატრონო სოფლებად, ჩათვალეთ, რომ ისედაც დაცლილი საქართველო კიდევ უფრო დაიცლება.

ვინც ვერ მოახერხებს საზღვარგარეთ წასვლას, ყველა თბილისში ჩამოვა და დახლებთან დადგება. ამიტომ ეს პრობლემა რაც შეიძლება მალე უნდა მოგვარდეს.

ჩვენი სახელოვანი მამულიშვილი, ბატონი აკაკი ბაქრაძე, ჯერ კიდევ კომუნისტების დროს წერდა, **„თბილისი თავკომბალას დაემსგავსაო“**. დღეს უარესი მდგომარეობაა. **თუ ასე გაგრძელდა, თავკომბალას კუდი მოსწყდება და ჩვენ სოფლებში აღარავინ დარჩება. ბოლოს იმ სოფლებს უცხო თესლი დაეპატრონება.** ამისი მაგალითი ძალიან ბევრია.

ამიტომ დროებით შევეშვათ შადრევნებს, კარუსელებს, სკვერებს, რაცა გვაქვს, იმით დავკმაყოფილდეთ და გლეხობას – სოფელს მივხედოთ.

როდესაც ქვეყანას უჭირს, როდესაც საკუთარ ქვეყანაში ქართველები მალე უმცირესობაში მოვხვდებით, **ბევრი თანამდებობის პირისათვის ყოვლად გაუმართლებელია 10-15-20-ათასიანი ხელფასის დანიშვნა. თუ პენსიონერებს 40 და 48 ლარს ამყოფინებთ, განა რა მუცლები აქვთ ჩვენ ჩინოვნიკებს?**

**დიდი ივანე ჯავახიშვილს სამუშაო კაბინეტიც არ ჰქონდა, როდესაც ოჯახის წევრები ისაუზმებდნენ, ისადილებდნენ და ივახშმებდნენ, მეუღლე გადაუწმენდდა მაგიდას და მერე იწერებოდა საქართველოს ისტორიის უტყუარი ფურცლები. მან ერთი პალტო 25 წელიწადი ატარა. გარდაცვალების შემდეგ კი ამ პალტოს მისი შვილები ხმარობდნენ. აი ეს არის ერის სიყვარული და ერისკაცობა. ჩვენმა გაზულუქებულმა „მედროვე ყვარყვარეებმა“ ჯერ ბატონ ივანეს მეათასედი გააკეთონ და მერე დაინიშნონ გრანდიოზული ხელფასები.**

თუ ყველაფერი ეს ყურად არ იყო ხელისუფლებამ, თუ ყველაფერი ეს დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, ჩათვალეთ, რომ ქვეყანა განწირულია დასაღუპავად. ამ დროს უკვე მთელი ერის გამოღვიძებაა საჭირო და ბრძოლა სიმართლისა და კანონიერებისათვის, ბრძოლა ერის გადასარჩენად.

ადრეც ვწერდი და კიდევ ვიმეორებ: სოფელში გადაუდებლად მოსაგვარებელი პრობლემაა სასმელი, სარწყავი წყლისა და ისტორიულ „თეთრდუქანთან“ ცენტრალურ მაგისტრალზე – „სამხედრო გზაზე“ საცალფეხო გადასასვლელი ხიდის გაკეთება. ეს ის „თეთრი დუქანია“, დიდ ილიას რომ აქვს მოხსენიებული „გლახის ნაამბობში“. ტყვეობიდან გამოქცეული გაბრიელი სწორედ „თეთრ დუქანში“ შეხვდა დათიკოსაგან გაუბედურებულ, უწესო დიაცად გადაქცეულ, მისთვის უსაყვარლეს თამროს. დღეს „თეთრი დუქნის“ ადგილზე ავტობუსების მოსაცდელია...

აქ არსებული გადასასვლელით სარგებლობენ უშუალოდ დიღმელები, მის სიახლოვეს მცხოვრები მასიველები, „თეთრ დუქანთან“ მდებარე ქალაქის სასაფლაოს მწუხრები და მრავალი სხვა. ტრასაზე იმდენად დიდი და ინტენსიური მოძრაობაა, თუ მთელი სისწრაფით მქროლავ მანქანას ძალიან სწრაფად არ გადაურბინე, შეიძლება საბურავების ქვეშ აღმოჩნდე. სამწუხაროდ, აქ ავარიები ხშირია, რის შედეგადაც იღუპებიან ადამიანები. არცთუ დიდი ხნის წინათ, ასეთი ავარიით დაიღუპა შესანიშნავი პიროვნება, ბავშვთა ექიმი თამაზ მარინაშვილი.

ყველა ამ გადასასვლელით მოსარგებლე დიღმელის თხოვნაა ხელისუფლებისადმი დაიდგას შუქნიშანი ან გაკეთდეს ისეთივე ხიდი, როგორიც ვაშლიჯვარისა და მასივის დამაკავშირებელი ხიდია.

**ჯიმშერ კენჭიაშვილი-დიდგორელი**

სოფ. დიღომი

⊙ ახლა კი „გვეშველა!“

# 171-ე გზას მიაგნებენ?!

## პარტია, პარტია, კიდევ პარტია...

**მოვესწარით!** შვებით ისე ღრმად ამოვიქშინე, კინაღამ გულ-ღვიძლი ამოვაყოლე. „ვიცინი, აღარ ვსტირი მე!“ – საქართველოში რეგისტრირებულ ას სამოცდაათამდე პარტიას კიდევ ერთი – „მომავალი საქართველოსთვის“ შეემატა.

ინფორმაცია გვამცნობს, რომ მისი დამფუძნებელი 18 არასამთავრობოა. მათში „ადამიანთა უფლებების დაცვის ორგანიზაციაცაა“ და მისი თავმჯდომარე ბატონი გიორგი ღაღიძე ახლადდაარსებული პარტიის ლიდერთაგანი იქნება. ლიდერთაგანი კი იმას ნიშნავს, რომ „მომავალ საქართველოში“, რადგან დამფუძნებლები 18-ნი არიან, სავარაუდოდ, კიდევ 17 ლიდერი იქნება. განა, ჩვენში აგრერიგად თმობენ ამბიციებს? ალბათ, მერე, დამფუძნებელ ყრილობაზე ერთიან თავკაცსაც აირჩევენ, მაგრამ, შესაძლოა, სწორედ მაშინ ატყდეს ამბავი, დედა შვილს რომ არ აიყვანს! თუ ჩვენს ოპოზიციურ სპექტრს გადავხედავთ, რა ჯიუტად თავკერძოობს, ზემოთქმულში გასაკვირი არც არაფერია.

არასამთავროობიდან პარტიულ ლიანდაგზე გადასვლას ისედაც ბევრი ოფლის წურვა სჭირდება და კიდევ უთანხმოება? ხომ უნდა ამდენი დამფუძნებლის აზრს შეჯერება, რათა ჩამოყალიბდნენ და სხვა 170-მდე პარტიისგან განსხვავებული ისეთი წესდება და პროგრამა მიიღონ, რომ მართლაც განსხვავებული პარტია გახდნენ? ისე, ღმერთმანი, მართლაც ტვინის დიდი ჭყლეტა მოუწევთ და ოფლის ღვრაც, რადგან ბაზისი იმ 170-ისნაირი იქნება. ამას ვერ გაექცევიან – დამოუკიდებელი, ერთიანი, ძლიერი, განვითარებული, მართლმადიდებელი საქართველო. უამისობა არანაირად არ იქნება და, ალბათ, ასეც ჩაწერენ პროგრამაში. თავის ტკივილი მერე დაიწყება. ხომ გინდა, ამ მიზნის მისაღწევი 171-ე გზის გამონახვა? მეგრელმა რომ „მოირებით“ მოიკიდა ყურზე ხელი, ასე ორივე ყური გადაირჩინა, თორემ ორ წერტილს შორის უმოკლესი გზა წრფეა. რად უნდა ამდენი პარტია და მეტ-მოეთი სამშობლოს ზეობას? ეს პარტიები პარტიულობისთვის, ანუ თავის თავისთვის იქნება, თორემ ვისაც ტვინში ორი ხვეული მაინც აქვს, ხომ მიხვდება, რომ დანაწევრება, ძალების დაქსაქსვა დამღუპველია? თუ არც ერთ პარტიას არ მოსწონს არც ერთი პარტია თავისის გარდა, ეგებ, ისიც დააკონკრეტოს, რით გამოირჩევა იმ სხვებისგან? რა აქვს ისეთი ერთადერთი და განუმეორებელი? ერთადერთი, მაგრამ განმეორებელი, უფრო ზუსტად, გაასსამოცდაათებული ძალაუფლებაში აძრომის სურვილი აქვთ. ესაა და ეს.

„მომავლის საქართველოსთვის“ რომ აფუძნებდნენ, ამჟამინდელმა რა დაუშავათ? მომავალში საქართველო სულაც აღარ იქნება, თუ დღევანდელს არ მივხედეთ. ამიტომ, ვიდრე „მთლად“ არ დაფუძნებულან, ეგებ, სახელწოდება გადაერქვათ და „ახლანდელი საქართველო“ ეწოდებინათ?

ხოლო, როცა „მთლად“ დაფუძნდებიან, მივალ და მათ პროგრამას წავიკითხავ. თუ ტყუპისცალზე ცოტა მეტად განსხვავებული მაინც იქნა „მომავლის საქართველოსთვის“ მიზნები და ამოცანები სხვა 170-ისგან, აფერუმ, მათ!

**კოტე სარალიძე**

№ 177. ხუთშაბათი, 13 სექტემბერი, 2007 წელი.

# დღევანდელობა

● გასაკვირია, მრჩევლები ხომ უნდა ჰყავდეს — ორატორობაში, გავლა-გამოვლაში, ჩაცმა-დახურვაში, თავდაჭერაში... ან, ეგებ, ჰყავს კიდევაც და არავის ყურს არ ათხოვებს?



◎ ფიქრწაღებული

## ისტორიულ მომენტებზე მაინცდამაინც ისტერიულად უნდა ვილაპარაკოთ?..

ქვეყნის მეთაურის გამოსვლის მოსმენისა და ყურებისას მორიგ ჯერზე უსიამოვნოდ „შევიშმუშნე". ახლახან განმუხურის პატრიოტთა ბანაკში წარმოთქმულ სიტყვას ვგულისხმობ, თუმცა „ნაყვირალი" სიტყვა უფრო მართებული იქნებოდა...

შინაარსობრივი მხარეც საკითხავია: არის თუ არა ბანაკის კონტინგენტი ის აუდიტორია, რომელსაც დიდი პოლიტიკის საკითხები თუ ისტორიული მომენტები უნდა გაურჩიო? თუმცა აქ უფრო ფორმაზე შევჩერდები და, თავს ასეთი შენიშვნის გაკეთების ნებას მივცემ, სხვათა შორის, ისევ პირველი პირის ინტერესებში: არ შეიძლება, მით უფრო ახალგაზრდობის წინაშე, ასე ისტერიულად, ასეთი ყვირილითა და ჟესტიკულაციით წარდგომა, ამით განა რა მაგალითს აძლევს მსმენელებს?



თუ ეს ემოციური ამორფქვევა იყო და არა ერთ-ერთი პიარხერხი, იმ ემოციების დაოკება უნდა შეგეძლოთ, როცა პრეზიდენტი ხართ...

აბა, დავფიქრდეთ, რამდენი სხვადასხვა ქვეყნის ლიდერი გვინახავს ტელეეკრანზე — პუტინი, ალიევი, ქოჩარიანი, იუშჩენკო, თვით „შერისხული" კასტრო, გინდა იმათი ამჟამინდელი უკანამორბედები... რომელიმე მათგანი თუ გახსენებიათ ან წარმოგიდგენიათ აგრე აბობოქრებული?

ერთი რამეცაა საგულისყურო. დალოცვილი ჩვენი წინამძღოლი უცხოეთში ყოფნისას ან საქართველოში უცხოელი სტუმრის (სტუმრების) დახვედრისას პირგაბადრულია, მლიმარი და ტონაუწევი — აქ კი ასე ხშირად გვიცაცხანებს, კერძოდ, საკუთარ მინისტრებსაც... ცოტა ხანში გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მიემგზავრება თურმე და, აბა, იქ დაუტატანოს და მოუღეროს მუშტები, თუ ბიჭია...

გასაკვირია, მრჩევლები ხომ უნდა ჰყავდეს — ორატორობაში, გავლა-გამოვლაში, ჩაცმა-დახურვაში, თავდაჭერაში... ან, ეგებ, ჰყავს კიდევაც და არავის ყურს არ ათხოვებს?

დასანანია, რომ პრეზიდენტი ქართულ პრესას ისევ არ კითხულობს და ზოგიერთი გაზეთი „სულელურად" ეჩვენება (თუ არ კითხულობს, საიდან იცის?.); რომ გადაეხედა ხოლმე, ეგებ გადაწყდომოდა კიდეც რამეს, თავისთვის სასარგებლოს...

**თამაზ ეზანოიძე**

◎ „ჩამოკლებული" იუბილე

## კაცი ვარ და ქუდი მხურავს!

ჩერმენ დუდაევი, გამორჩეული გორელი ინტელიგენტი, ქართულ-ოსურ კულტურაზე აღზრდილი, მაშინ, 90-იან წლებშიც კი, არ გაჩუმებულა — ხმამაღლა ამხელდა მედროვეთ, ორ ხალხს შორის მტრობას რომ თესავდნენ, ქომაგად ედგა ოსებსაც და ქართველებსაც, მით უმეტეს, დღეს რა გააჩუმებს, როცა ისეთი ამბები ხდება ცხინვალსა და მის შემოგარენში, იტყვი, ისტორია შემობრუნდაო!

გული დაწყდა ჩერმენ დუდაევს, მისი დაბადების 75 წლისთავი მარტოოდენ გორელებმა რომ აღნიშნეს. განა ცხინვალელები მეგობრის იუბილეზე არ ჩამოვიდოდნენ, მაგრამ ვინ გამოუშვა?! ცხინვალის დამოუკიდებლობის დღე ახლოვდება და კოკოითმა, გამოგონილი მიზეზით — ქართველები ტერორისტულ აქტებს მოგვიწყობენო — ისეთი მონდომებით ჩაკეტა შესასვლელ-გამოსასვლელი, რომ ქალაქი, ფაქტობრივად, ალყაში მოაქცია.

იუბილარი თავის მეგობრებს — ჟურნალისტებსა და მხატვრული სიტყვის ოსტატებს ვლადიკავკაზიდანაც ელოდებოდა. წამოვიდნენ კიდეც, მაგრამ ვინ შემოუშვა როკის გვირაბში? ისეა ჩაკეტილი ცხინვალისკენ მიმავალი ყველა გზა, რომ ჰალუცინაციებით დაავადებულ კოკოითს აღარც შინაურისა სჯერა და აღარც გარეულის.

იუბილე კი მაინც გაიმართა. ბევრი კეთილი, სიყვარულით გამთბარი სიტყვა უთხრეს ჩერმენ დუდაევს მისმა გორელმა მეგობრებმა — პოეტმა ჯემალ ინჯიამ, საქართველოს სახალხო არტისტმა ჩეკო ტატალაშვილმა, მწერალმა ზაურ წაქაძემ, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ვაჟა აბრამიშვილმა და სხვებმა. ხელში მათ ხან მიკროფონი ეჭირათ, ხანაც თავკვერით სავსე სასმისი. იმ საზეიმო დღეს ორივე უხდებოდა.

**გურამ ვაშაკიძე**

◎ გლობუსი

# შემოდგომის ცხელი

დასაწყისიდანვე აშკარაა, რომ ცხელ პოლიტიკურ ზაფხულს არანაკლები ცხელი შემოდგომა მოჰყვება. სექტემბრის პირველი დღეებიდანვე, ისე, როგორც აგვისტოს დასაწყისში — წითელუბნის ინციდენტიდან დაწყებული, პრეზიდენტის აქტიურობა ცხადია. მან არა მარტო სხვადასხვა სახის ღირებული თუ ნაკლებად ღირებული ობიექტის გახსნაზე მოუხშირა ვიზიტებს, არამედ განცხადებათა პათოსსაც აუწია, და, თუ აქამდე წინა ხელისუფლების, აჭარის ყოფილი ლიდერის და ოპოზიციის აუგად მოხსენიებით ცდილობდა მოწოლილი ახალგაზრდული ენერგიის დაოკებას ამჯერად საერთაშორისო ორგანიზაციებს, კერძოდ, გაეროს გადაჰკრა. პრეზიდენტის დამოკიდებულება საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ არასოდეს ყოფილა თავშეკავებელი. მკითხველს, ალბათ, ახსოვს პრეზიდენტობის გარიჟრაჟზე მისი გალაშქრება ევროსაბჭოსა და მისი თავმჯდომარის შვიმერის წინააღმდეგ. საერთაშორისო არენაზე ახლები და გამოუცდელები ზოგი შეღავათებით სარგებლობენ — გაიზრდებიან, დალვინდებიან და ლექსიკასაც შეიცვლიანო, მაგრამ ჩანს, ჩვენი შემთხვევა განსხვავებული და გამორჩეულია. ის არა მარტო ერთი პოლიტიკოსის ქმედების დამახასიათებელია, არამედ საზოგადოების იმ ნაწილისა, ვინც პოლიტიკოსი წინამძღოლად აირჩია. აღნიშნულის დასტურად საკმარისია სხვა პოლიტიკოსების, მათ შორის ოპოზიციონერების ან ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქეების განცხადებები, რომელთა შინაარსი დაახლოებით ასეთია — გაეროს ჩვენთვის არაფერი გაუკეთებია და კრიტიკას იმსახურებსო.

ამჯერად აღარ შევუდგები იმის ახსნა-განმარტებას, რაში ვართ მართლები და რაში ვერ გაგვიმართლა გაერომ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ეს მსოფლიო ორგანიზაცია მრავალჯერ გაუკრიტიკებიათ, თუმცა ხშირად ის საწინააღმდეგოს იმსახურებდა. საქართველოსთან მიმართებაში გაერომ ბევრი ილვაწა. მომავალშიც ასე აქვს ნავარაუდევი, მაგრამ მარტო ის ვერაფერს გახდება, თუ ჩვენ არ გამოვიჩენთ შესაბამის თანამიმდევრულობას, მოთმინებას, საქმისადმი პრაგმატულ მიდგომას, გონივრულობას.

წინა სტატიაში აღვნიშნე, რომ გაეროს სამსჯავროზე გამოტანილი საკითხები მხოლოდ საყოველთაო კონსენსუსის შედეგად წყდება და არა „თათარიახნად", როგორც ჩვენ გვგონია.

საქართველოს ყველა ხელისუფლება, ეროვნულიდან დაწყებული, მოჭარბებულ იმედებს ამყარებდა მსოფლიო ორგანიზაციაზე. ყველა ხელისუფლებას ეგონა და ჰგონია, რომ მხოლოდ მისმა სიმართლემ უნდა გაიმარჯვოს, ყველა ფიქრობდა და ფიქრობს, რომ სიმართლე ერთია და ისიც ის არის, რასაც თავად მიიჩნევს. აი, სწორედ აქ ბევრჯერ ულალატია ჭეშმარიტებას.



მსოფლიო ორგანიზაცია ქვეყანა არ არის. მან ისეთი დასკვნა უნდა გამოიტანოს, რომელმაც, თუ სამარადისოდ არა, მრავალი წელი უნდა იარსებოს. სწორედ ამისთვის გადადგა გაერომ მრავალი პოზიტიური ნაბიჯი, რასაც გაცილებით უკეთესი ვითარება მოჰყვებოდა, რომ საქართველოს მხრიდან შემხვედრი ნაბიჯები გადადგმულიყო.

ზოგიერთი ოპოზიციონერის განცხადება, რომ პრეზიდენტის კრიტიკა საარჩევნო კამპანიით არის გამოწვეული, ნაკლებად დასამშვიდებელია. გაეროს 190-ზე მეტმა წევრმა სახელმწიფომ საკუთარი არჩევნების დროს გაეროს კრიტიკას თუ მიჰყო ხელი, გაეროს კარგი არ დაადგება და არც წევრი სახელმწიფოები იქნებიან დალხინებული.

და კიდევ ერთი, არცთუ უმნიშვნელო რამ — კრიტიკასა და ლანძღვას შორის უდიდესი სხვაობაა. იმას, რაც პრეზიდენტმა თქვა, კრიტიკას ვერ ვუწოდებთ! „ჩვენ გვირჩიეს, რომ განმუხურის პატრიოტთა ბანაკი დე ფაქტო აფხაზეთის საზღვრიდან მოშორებით განგვეთავსებინა. ეს ამორალური და უბადრუკი რჩევებია. მინდა საერთაშორისო ორგანიზაციებს ვუთხრა, რომ ჩვენ არ გვჭირდება მსგავსი ტიპის უბადრუკი და ამორალური რჩევები". შემდეგ პრეზიდენტმა ისიც თქვა, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში გაეროს დამკვირვებლები დიდი ხანია იმყოფებიან, თუმცა რა მისიას ასრულებენ, მისთვის დღემდე გაურკვეველია. პრეზიდენტმა გაეროს ურჩია იფიქროს საკუთარი იმიჯის შენარჩუნებაზე.

ზემოთ მოყვანილი სიტყვები საერთაშორისო არენაზე კრიტიკის ჟანრს არ მიეკუთვნება, ლანძღვა კი, მით უმეტეს დაუმსახურებელი, ვინაიდან ადგილი, სადაც პატრიოტთა ბანაკია განთავსებული, იმ ტერიტორიის შემადგენელი ნაწილია,



რომელსაც კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარემ სიმშვიდე უნდა დაიცვას (ასეთია წინა ხელისუფლების დროს ხელმოწერილი დოკუმენტის მოთხოვნები), ნეგატიურად აღიქმება. სამწუხაროდ, ნეგატივი მარტო წინამძღოლს არ ეხება, მას იზიარებს ქვეყანა, ხალხი, ვინც მხარი დაუჭირა. ეს კარგად უნდა ახსოვდეს ყველას — პოლიტიკოსს, არაპოლიტიკოსს თუ რიგით მოქალაქეს. პრეზიდენტები მოდიან და მიდიან, ქვეყანა რჩება. ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას კარგად უნდა აცნობიერებდეს პოლიტიკოსი. საჯარო გამოსვლების დროს მას ისეთი რამ არ უნდა წამოცდეს, რაც ჩრდილს მიაყენებს საკუთარ ქვეყანას. კათედრასთან მდგომამ, ემოციებით დამუხტულმა პოლიტიკოსმა ზეპირი გამოსვლის დროს ისეთი რამ შეიძლება დაახეთქოს, რომ მსოფლიოს საზოგადოების სასაცილოდ გაიხადოს თავი. აღნიშნულის ცინცხალი მაგალითია ბუშის ავსტრალიაში, აზია-წყნარი ოკეანის თანამშრომლობის სამიტზე გამოსვლა, როდესაც მან დაწერილ ტექსტს ორჯერ აარიდა თვალი და ორჯერვე სავალალო შეცდომა დაუშვა — ჯერ დაამახინჯა სამიტის შემოკლებითი სახელი და ნავთობის საერთაშორისო ორგანიზაციად — „ოპეკად" მოიხსენია, შემდეგ ავსტრალიას ავსტრია უწოდა.

მნიშვნელოვანი განცხადების შემთხვევაში წინასწარ მომზადებული ტექსტის წაკითხვა უფრო დამაჯერებლად მოქმედებს, ვიდრე ექსპრომტად ნასროლი ფრაზები.

წინა კვირას, გაეროს გინებასთან ერთად, უხვი იყო პრეზიდენტის სალანძღავი სიტყვები სხვათა, განსაკუთრებით ოპოზიციის მიმართაც. „ეს ქალბატონი ლეიბორისტული პარტიის ადგილობრივი ლიდერი იყო და მას ჭკუა არ მოეკითხება". ან „რომელიმე სულელურმა გაზეთმა" და სხვა. ლიდერს არც საპარლამენტო უმრავლესობა და მთავრობის განახლებული შემადგენლობა ჩამორჩა. მათ უშვერი სიტყვებით გალანძღეს ოპოზიცია, ოპოზიციონერობისათვის, ანუ იმისათვის, რომ ოპოზიციამ დაიწუნა მთავრობის პროგრამა.

ლანძღვაზე უფრო შემაშფოთებელი და დასაფიქრებელი იყო

● თანამედროვე ისტორიიდან და ამერიკელთა პოლიტიკიდან გამომდინარე ძნელია ვივარაუდოთ, რომ საქართველოს მხარდაჭერა უანგაროა. წინ სერიოზული პრობლემებია, რაც ასევე უაღრესად სერიოზულ განსჯას მოითხოვს და არა დაუფიქრებელი ფრაზების ფრქვევას



◎ ყოფა

# ორთაჭალაში ექიმი რომ ყოფილა!...

## იქნებ დავეხმაროთ კონფლიქტის ზონის გმირთა უბანში მცხოვრებ სნეულ დედას?

**ადრიანი** დილაა. ქურთის წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში ძლივს შემოდის ინვალიდის ყავარჯნებზე დაყრდნობილი ჯერაც ახალგაზრდა ქალი ცისანა ციხელაშვილი-ხაჭაპურიძე.

არ გეგონოთ, რომ მან ხელში ყავარჯენი ფეხის მოტეხილობის გამო დაიჭირა, არა, ცისანა სამი ვაჟკაცის დედაა, მშრომელი, პატიოსანი ადამიანი, მაგრამ განვლილმა ცხოვრებამ, მკაცრმა განსაცდელმა წელში გატეხა, სული გაუმწარა, გული მოუკლა...

ნერვიულობამ დაუდამბლავა ქვედა კიდურები, დამართა დიაბეტი, მაღალი არტერიული წნევა.

ყველას უკვირს და უხარია მისი დანახვა — აქამდე შინ მწოლიარე იყო, ახლა ძლივს გამობარბაცდა სახლიდან, გამოიარა უბანი. ორი პატარა, მეზობლის გოგონა, ნინო და სოფო ოთინაშვილები მოაცილებენ. ისედაც გვერდიდან არ შორდებიან ცისანა დეიდას: ხან წყალს მოუტანენ, ხან საყრდენს მიაწოდებენ..

მეზობლების კითხვაზე, როგორ ხართ, თვალზე ცრემლი ადგება ცისანას: — რაღა როგორ ვარ, ან კი ცოცხალი რადა ვარო! — პასუხობს მათ და არც არავის უკვირს შვილმკვდარი დედის ცრემლი.

ცისანამ და მისმა მეუღლემ ვასომ დიდი წვალებით გაზარდეს სამი ბიჭი. ადვილი არ იყო, ტყვიების წვიმაში შვილების დაფრთიანება, საღ-სალამათად გაზრდა. ცისანას კისერზე იყო ოჯახის საქმე. ციბრუტივით ტრიალებდა, ომის დამთავრებას ელოდა და იმედი ჰქონდა, რომ მომავალი მის შვილებს უკეთეს ცხოვრებას მოუტანდა.

უფროსმა ვაჟმა ოჯახი შექმნა, ცალკე ცხოვრობს. შუათანა კონტრაქტით მსახურობს ქართულ ჯარში. ნაბოლარა გალაქტიონის ამბავი კი მთელმა ქვეყანამ გაიგო — 2005 წელს სრულიად უდანაშაულო ბიჭი თავის სამ მეგობართან ერთად ვერაგულად გამოასალმეს სიცოცხლეს სეპარატისტებმა...

სანამ შვილის ნეშტს მიაკვლევდნენ და ქურთაში გადმოასვენებდნენ, მანამდე დედა ნერვიულობისაგან ლოგინად ჩავარდა... — დედა მოუკვდეს ჩემს გელას, ერთ კვირაში ერაყში უნდა წასულიყო... შვიდი თვე მის ძვლებს დავეძებდით... სულ სხვანაირი, მოყვარული გული ჰქონდა. პატრიოტული სულისკვეთებით იყო ალვსილი... დედა, ნახე, საქართველო სულ მალე დადგება ფეხზე და ყველას საკადრის პასუხს გასცემსო, — გვაიმედებდა. გალაქტიონის ხსოვნა არ მაძლევს უფლებას ავადმყოფობას და უძლურებას დავნებდე. სანამ პირში სული მიდგას, მის საფლავზე მაინც ხომ უნდა ვიარო. ადრე ვერც კი ვდგებოდი ფეხზე. თვითნასწავლმა მასაჟისტმა მიმკურნალა და წამოდგომა შევძელი... იქნებ რამე მეშველოს და მოვმჯობინდე, თორემ მეც ჩავვარდი და ჩემი ოჯახიც ჩავარდა!

მართლაც, ცისანა ხაჭაპურიძის ორსართულიანი სახლი მიწისძვრის შედეგად ისე დაზიანდა, რომ შიგ ცხოვრება შეუძლებელია დამხმარე არავინ ჰყავთ, არც არავის იმედი აქვთ.

**— სახელმწიფო თუ გეხმარებათ-მეთქი, —ვკითხე.**

— წელიწადში ერთხელ სასურსათო დახმარების ერთი ყუთს გვაძლევენ. ეს არის და ეს. ერთხელ, შარშან, საახალწლოდ სოფლის საკრებულო დამეხმარა 100 ლარით... ვის რა უნდა ვთხოვო ამ გაჭირვების დროს. წლეულს ჩვენი ხეობიდან ბავშვები დაასვენეს ზღვაზე. ოჯახებით გაუშვეს. მეც მყავს ორი წლის შვილიშვილი, ჩემი გალაქტიონის სეხნია, გვინდოდა, ისიც გაეშვათ დასასვენებლად, მაგრამ საგზური არ მოგვცეს. უფრო ოსებს მისცეს უპირატესობა. ალბათ, ასე იყო საჭირო, რა ვიცი... მოგვცეს.

**— წამლებს რით ყიდულობთ?**

— პენსიას ვიღებ და მარტო წამლის ფულადაც არ მყოფნის. ფიზიკურად ვერ ვმუშაობ. ქმარი მივლის, რომელიც უმუშევარია და რომელსაც ასევე ჯანმრთელობა აქვს შერყეული ნერვიულობის გამო. შვილებს თავისი პრობლემები აქვთ. ამ ცხოვრებაში ან ისინი როგორ დამეხმარებიან?

**— ქალბატონო ცისანა, თქვენ თქვით, რომ ერთხელ ჩაიტარეთ მასაჟის კურსი და კარგი შედეგიც მოგცათ, იქნებ კიდევ გაგემეორებინათ?**

— დიახ, ასეა. დამწყები, მასაჟისტი დადიოდა ჩემთან და ძალიან მიშველა. ფაქტობრივად, იმან წამომაყენა საწოლიდან. კარგი სპეციალისტი მჭირდება, რომ გამოვჯანმრთელდე, მითხრეს რომ თბილისში, თვალის კლინიკაში, (ორთაჭალაში) მეოთხე სართულზე ყოფილა მასაჟისტი, ნევროპათოლოგი, რომელიც, თურმე, მასაჟთან ერთად სხივებით და სპეციალური ვარჯიშებით მკურნალობს პაციენტებს... ერთი მასაჟის ღირებულება კი 50 ლარი ყოფილა. ალბათ. 15-20 დღე დამჭირდება... აქ მითხრეს, მარილებზეც მოგიხდებაო, იმიტომ რომ შორს წასული მდგომარეობა არა გაქვს. მაგრამ ამაში, ალბათ, 1000-1500 ლარი მაინც დამჭირდება. ამ თანხას კი მე ვერასდროს შევაგროვებ... არადა, მინდა კიდევ ვემსახურო ჩემს ოჯახს, ჯერ ახალგაზრდა ვარ და კიდევ ვჭირდები ჩემს შვილებს თანჯანმრთელობის დაცვის პოლისიც მაქვს და იქნებ ამანაც გაჭრას, ოხვრით ამბობს ქალბატონი ცისანა.

იქნებ ვინმე მადლიანმა ადამიანმა მართლაც წაიკითხოს ეს წერილი და დახმარების ხელი გაუწოდოს კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ სამი ვაჟკაცის გამზრდელ დედას, გმირ ქალს, რომელსაც ზურგი არ უჩვენებია მტრისათვის და დღემდე შერყეული ჯანით მაინც იქა დგას, სდაც ჩვენს სამშობლოს ყველაზე მეტად უჭირს...

**ლია ჭილლაძე**
**თბილისი-**
**დიდი ლიახვის ხეობა-თბილისი.**

*P.S. ცისანა ციხელაშვილი — ხაჭაპურიძის დახმარების მსურველებმა მოგვმართეთ რედაქციაში (მ. კოსტავას ქ. №12) ან დაგვიკავშირდით ტელეფონით 95-65-87; 855-26-65-17.*

*ლ. ჭ.*

◎ გლობუსი

# ტერმინოლოგია

მთავრობის ლოჟაში მყოფი მინისტრების. ბაქრაძის, ლომაიას, ბენდუქიძისა და სხვათა დამცინავი, ზიზღით აღსავსე სახეები ოპოზიციონერი დეპუტატების გამოსვლის დროს. ალბათ, ჩვენი საქმე იმაზე ცუდად არის, ვიდრე გვგონია.

დავუბრუნდეთ გაეროს ლანძღვის თემას. ქართველი პოლიტიკოსები წითელუბნის ინციდენტის უშიშროების საბჭოში განხილვაზე გაეროს უარმა გაალიზიანა. გაერომ ბევრი რამ საეჭვოდ მიიჩნია და დამადასტურებელი ფაქტები მოითხოვა. საქართველოს ხელისუფლებისთვის გამაღიზიანებელია გაეროს უშიშროების საბჭოს შარშანდელი რეზოლუციაც, სადაც ხაზგასმით არის ჩაწერილი, რომ საქართველომ თავი უნდა შეიკავოს გამომწვევი, მილიტარისტული რიტორიკისაგან. საკითხი აფხაზეთს ეხებოდა. მაშინ ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ერთი წლის შემდეგ შეტევა თვით გაეროსა და მის ხელმძღვანელობაზე განხორციელდებოდა და მის რჩევებს ამორალურს უწოდებდნენ. ცნობისათვის: ამორალურად სიროსკიპოებიც აღარ მიიჩნევა, ვინაიდან ბევრ ქვეყანაში ისინი კანონიერად, ლეგალურად მოქმედებენ.

საერთაშორისო სარბიელზე კრიტიკა მიღებულია, მაგრამ კრიტიკის დროსაც ისეთ ტერმინებს არჩევენ, რომ ადრესატი სერიოზულად არ გაანაწყენონ, მაგრამ შეურაცხყოფა ნებისმიერი პირისთვის, მითუმეტეს პოლიტიკოსისთვის, ძნელად ასატანია.

სავარაუდოდ გაეროს გენერალურ მდივნებში არ გვიმართლებს. არც წინა გენერალურ მდივანს, კოფი ანანს ვწყალობდით და არც ახალ — პან გი მუნს, რომელიც ესესაა შეუდგა თავის მრავალწლიან მუშაობას. საქართველოს გაფიცხების გამო, პან გი მუნს არ მოხსნიან. ასეთი მექანიზმი არ არის. იქნებ, საზღვარგარეთ „განსწავლულ" ჩვენს ხელისუფლებას ჰგონია, რომ აშშ-ის პრეზიდენტი ბუში ყურს აახევს პან გი მუნს და გამოაპანღურებს გაეროდან? ან, იქნებ, ვინმეს ჰგონია, რომ ერთი მტკაველი ქვეყნის პრეზიდენტის „ომახიანი" შეძახილი დააშინებს პან გი მუნს ან უშიშროების საბჭოს ხუთ მუდმივ წევრს, ამერიკის ჩათვლით?



პრეზიდენტიდან დაწყებული, ყველა პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ გაეროს ხელმძღვანელობა რუსეთის გავლენის ქვეშ არის მოქცეული და, თუ ასეა, ნაცვლად იმისა, რომ გამოიძებნოს მასთან საერთო ენა, პირიქით ხდება. მთელი მსოფლიოს აბუნტება არცთუ სუსტი რუსეთის წინააღმდეგ ვერ მოიტანს სასურველ შედეგს. რუსეთის ენერგეტიკის კლიენტი ევროპის ქვეყნები, რაც უნდა ჩვენთვის გასახარი სიტყვებით დაიხარჯონ, პრაგმატიკოსები არიან. საქართველოს გულისათვის საკუთარ სახლ-კარს არც გაყინავენ და არც რუსეთის უკიდეგანო ბაზრის სიკეთეებს მოიკლებენ.

ა. წ. 8 სექტემბრის პოპულარული ჟურნალი „ეკონომისტი" რუსეთისა და პუტინის თაობაზე წერდა: „დასავლეთში, ზოგიერთთა მხრიდან სისულელეა იმის უარყოფა, რომ რუსეთი არ არის მძლავრი ქვეყანა. როდესაც პუტინი გახდა ქვეყნის პრეზიდენტი, ერთიანი ეროვნული პროდუქციის მაჩვენებლით ქვეყანა მსოფლიოს უძლიერესი ათეულის მე-10 ადგილზე იყო. მისი უცხოური რეზერვები 8.5 მილიარდ დოლარს შეადგენდა. დღევანდელი რუსეთის ეკონომიკა მსოფლიოში მე-8 ადგილზეა, ხოლო მისი რეზერვები 407 მილიარდი დოლარია. კრემლმა შესანიშნავად გამოიყენა ევროპის მოთხოვნილება რუსულ გაზზე და გააძლიერა საკუთარი გავლენა ისეთ საკითხებშიც, როგორებიცაა კოსოვო, ირანი და სხვა. გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი რუსეთი აიძულებს დასავლეთს ყურადღებით მოეკიდოს მის წინადადებებს. ზომით და სამხედრო ძლიერებით რუსეთი მსოფლიოს დიდი სახელმწიფოა". სტატიაში მკაცრი კრიტიკაც არის ადამიანის უფლებებთან, მედიის კონტროლთან, ცენტრალიზებულ მმართველობასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ რუსეთი ანგარიშგასაწევი ძალაა.

წელგამართული რუსეთი, რომელიც თავისას ითხოვს, დასავლეთისთვის, კერძოდ, აშშ-ის ნაკლებად მისაღებია. ამერიკა ვერ იტანს სხვასთან თანაბარი უფლებების გაზიარებას. ამერიკელთა იდეოლოგიაში მტკიცედ არის გამჯდარი ამ ქვეყნის სხვა ქვეყნებზე უპირატესობის ცნება, რომ ამერიკა მსოფლიოში ყველაზე თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყანაა. ამ იდეოლოგიის მიხედვით, თვითდარწმუნებული ამერიკა მიიჩნევს, რომ მას უფლება აქვს სხვას მოუტანოს თავისუფლება და ბედნიერება. ამერიკელები ფილოსოფიურად ამართლებენ ნებისმიერი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევას. მას არ უყვარს შეწინააღმდეგება, მას უყვარს თვალებში ციცინი. მსგავსი სურათი იყო ელცინის მმართველობის დროს. პუტინის პრეზიდენტობამ აღნიშნულს წერტილი დაუსვა. ამიტომაც, თეთრი სახლის მეცადინეობით, ბოლო წლებში დაბეჯითებით იქმნება პუტინისა და დღევანდელი რუსეთის უარყოფითი იმიჯი. ამ „კეთილშობილურ" საქმეში ვაშინგტონი აქტიურად იყენებს აღმოსავლეთ ევროპის ახალ მოკავშირეებს, ყოფილ საბჭოთა იმპერიაში შემავალ ქვეყნების: პოლონეთს, უკრაინას, ლიტვას, ლატვიას, ესტონეთსა და საქართველოს. სწორედ ზოგიერთი ამ ქვეყნის წარმომადგენელი, ამერიკელებთან ერთად, იძიებდა წითელუბნის ინციდენტს. ვაშინგტონისა და შემსწავლელი ჯგუფის ლოიალურობაში დარწმუნებული საქართველოს ხელისუფლება აცხადებდა, ინციდენტი არა მარტო საქართველოსათვის, არამედ ევროპის ქვეყნებისათვისაც სერიოზულ საფრთხეს შეიცავსო,ანუ გეშინოდეთ რუსეთის, რომელიც მზად არის ნებისმიერ დროს ბომბები დაგაყაროთო.

საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღების მიპყრობა წითელუბნისადმი საქართველოს ხელისუფლებამ შეძლო, მაგრამ რუსეთისათვის აგრესორის იარლიყის მოკერება?

აგრესიულობაში სხვისი დადანაშაულება ვაშინგტონისთვის უცხო არ არის. თუმცა სწორედ დღევანდელი ადმინისტრაციის აგრესიულმა პოლიტიკამ შეიყვანა ვაშინგტონი ერაყის ჩიხში, საიდანაც გამოსვლა გაუჭირდება.

კონგრესმა დაიწყო ერაყში აშშ-ის ელჩის კროკერისა და ჯარების სარდლის პეტრეუსის მოხსენებების მოსმენა ერაყში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. შეძლებენ ისინი დაარწმუნონ ბუშის პოლიტიკის მოწინააღმდეგე კონგრესმენები, რომ ერაყის ომის გაგრძელება წარმატებას მოიტანს? ძნელი სათქმელია.

დაპირისპირება კონგრესსა და პრეზიდენტს შორის გაგრძელდება. ბუში ჯიუტად იძახის, რომ თავისი პრეზიდენტობის დროს ის არ გამოიყვანს ჯარებს ერაყიდან, არ მიატოვებს ერაყელებს განსაცდელში. არადა, ერაყელები, გარდა მარიონეტული ხელისუფლებისა, დაჟინებით მოითხოვენ ამერიკელების გასვლას.

ბუშის ადმინისტრაციას გადაწყვეტილი აქვს 50 მილიარდი დოლარით გაზარდოს ომის ხარჯები ერაყსა და ავღანეთში. საერთო ჯამში, საომარმა ხარჯებმა 200 მილიარდს მიაღწია, ანუ ყოველ კვირას — 3 მილიარდ დოლარს. ასეთ დროს სხვისკენ თითის გაშვერა არაკეთილშობილური საქციელია, მაგრამ პოლიტიკაში მსგავსი, სამწუხაროდ, ხდება. თანამედროვე ისტორიიდან და ამერიკელთა პოლიტიკიდან გამომდინარე ძნელია ვივარაუდოთ, რომ საქართველოს მხარდაჭერა უანგაროა. წინ სერიოზული პრობლემებია, რაც ასევე უაღრესად სერიოზულ განსჯას მოითხოვს და არა დაუფიქრებელი ფრაზების ფრქვევას.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი**
**პოლიტოლოგი**

№ 177. ხუთშაბათი. 13 სექტემბერი. 2007 წელი.

# გენოფონდი

● გადაუდებელ საჭიროებად მიმაჩნია, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ აღადგინოს უფასო მშობიარობა, დაუყოვნებლივ აღადგინოს შვილებზე მატერიალური დახმარებები, შემოიღოს „გმირი დედის" საპატიო წოდება შვიდი შვილის ყოლის თაობაზე პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევის გათვალისწინებით



◎ პრობლემათა პრობლემა

# დროულად მივხედოთ დემოგრაფიას, სანამ არ გავნახევრებულვართ!

**შესაძლოა**, დიდი მორალური უფლება არც მქონდეს ამ საკითხზე მსჯელობისა ქალ-ვაჟის პატრონს, მაგრამ ჯერ ერთი, ჩემ დროს (რვა ათეულს გადავაბიჯე!) ესეც კმაროდა დემოგრაფიული სტატუს-კვოს შენარჩუნებისათვის, მეორეც და, რაც უმთავრესია, ქართველი ვარ და ყოველი ქართული სატკივარი ჩემი სატკივარიცაა, ხოლო იმაზე დიდი სატკივარი რა უნდა იყოს, როცა ერი გადაშენების საფრთხის წინაშეა!

ზოგ-ზოგებს თუ არ ეწყინებათ, კომუნისტების ლოზუნგს კიდევ ერთხელ შევახსენებდი: „მრავალი შვილი საქართველოს უკვდავებაა!" ლოზუნგი კი მოგვწონს, მაგრამ რაკი საკითხი საბჭოურ პერიოდს ეხება, აუცილებლად უნდა ვუკბინოთ (აბა, როგორ?!): „მართალია, ლოზუნგების ქვეყანაში სიტყვა ხშირად სიტყვადვე რჩებოდაო". არადა, კარგად წერდა ერთი ჟურნალისტი თქვენს გაზეთში. „რაც საბჭოთა ხანაში წარმოქმნილია, განა ყველაფერი გასაკიცხი და დასაგმობია?".

ვინმეს ტენდენციურობა რომ არ დაეწამებინა, აკადემიკოს პ. გუგუშვილის წიგნი „საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები" — გადავფურცლე, საბჭოთა წლების აქტიურ დემოგრაფიულ პოლიტიკას მივადექი: მრავალშვილიანებს ორგვარი დახმარება ეძლეოდათო — ერთდროული და ყოველთვიური. ერთდროული ეძლეოდათ შვილის დაბადებისას, ყოველთვიური — შვილის დაბადების მეორე წლიდანვე ყოველი ბავშვისათვის (5 წლის ასაკამდე). მრავალშვილიანობისათვის ყოველთვიური დახმარება ეძლეოდა მეოთხე შვილის დაბადებიდან. 1944 წლიდან (ე.ი. დიდი სამამულო ომის წლებიდანვე) დაწესებული იყო „გმირი დედის" საპატიო წოდება სათანადო მატერიალური უზრუნველყოფით.

დედათა უსაფრთხოებას გადავხედოთ.

1990 წლამდე (ე.ი. საბჭოთა წლებში) მშობიარობის 99,9 პროცენტი სამშობიარო სახლებში (უფასოდ!) ხდებოდა.

**დღევანდელმა ხელისუფლებამ გააუქმა უფასო მშობიარობა იმ დროს** როცა დედათა სიკვდილიანობა ჩვენთან 2,6 ჯერ აჭარბებს ყველაზე მაღალ ევროპულ მაჩვენებელს. ამას ხაზი იმიტომ გავუსვით, რომ **სიკვდილიანობის მიზეზთა სტრუქტურაში ძირითადი ადგილი ბინაზე მშობიარობას** (ეს რა, კარგი ცხოვრებით არის გამოწვეული?) უჭირავს.

რა მდგომარეობაა ჩვენსავით მცირერიცხოვან „კეთილ და ერთგულ მეზობლებთან?"

როგორი დემოგრაფიული სურათია თვით სომხეთში, ჩემთვის უცნობია, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მსოფლიოში ძნელად თუ მოიძებნება ქვეყანა, სომხები რომ არ სახლობდნენ!

მეზობელი მყავს ერთი სომხური ოჯახი გურიაში, უბრალო კაცია, საგზაოს მუშა, სამი შვილი ჰყავს — ორი ვაჟი და ერთი ქალი. ორივე ბიჭს ასევე სამ-სამი შვილი ჰყავთ. ერთ-ერთ მათგანს ვკითხე, ეს კანონზომიერება საიდან-მეთქი, ტრადიცია არისო, მიპასუხა. სწორედ ამ ტრადიციის გამოა, ჩემი აზრით (მეტწილად), რომ სომხობა მიმოფანტულია მთელს სამყაროში (ბ. არველაძე და თ. მიბჩუანი „ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონი და ქართველთა ეთნოწმენდა აფხაზეთში", გვ. 11), ზოგან საკმაოდ ძლიერი (ფინანსურად) დიასპორით.

ასევეა აფხაზეთშიც, სადაც აფსუებს აჭარბებდნენ 90-იანი წლების ტრაგიკული მოვლენების დროს დაუნდობლობა-სისასტიკით ადგილობრივი ძირძველი მოსახლეობის — ქართველების მიმართ. ამასთან, ალსავსენი ბოღმით (რატომ?) და დაუოკებელი სურვილით ვერდიქტსაც კი იძლეოდნენ: „ქართველები არ უნდა გამრავლდნენ" (ბ. არველაძის და თ. მიბჩუანის ზემოთ მითითებული უნიკალური წიგნი, გვ. 19,20).

ჩვენც, ქართველობა დემოგრაფიულ პროცესებში მტკიცედ ავყევით სომეხთა ამ საზარელ მოწოდებას და თუ კი ჩვენთან მესამე და მეოთხე ბავშვზე, ძირითადად, აზერბაიჯანელი და სომეხი დედები მშობიარობენ („დროების" ა.წ. 22 ივლისის სიუჟეტი) ჩვენ, როგორც წესი, ვკმაყოფილდებით ერთი (ლამის არის, აღვასრულოთ ან განსვენებული სომეხი მღვდელმთავრის ვაზგენის უკვე დიდი ხნის წინათ ნათქვამი, „ქართველებს რომ შეეძლოთ, ნახევარ ბავშვს გააკეთებენო", (კიტა ბუაჩიძე „ვილუპებით..." გაზეთი „ლიტ. საქართველო", 30.05.97), მაქსიმუმ ორიშვილით („ვითომ შვილი").

მერედა ვისი ვერდიქტია „ქართველები არ უნდა გამრავლდნენო", რა, ხალხი გამოთქვამს ამ მომაკვდინებელ ვერდიქტს?

დავესესხები პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრის დავით მაისურაძის ჟურნალ „კვალის" 2006 წლსი პირველ ნომერში გამოქვეყნებულ სტატიას — იუდას მორალი ანუ სომხური საქმე საქართველოში". კერძოდ, სტატიის ავტორს მოჰყავს ცნობილი ფრანგი მოგზაურის გრაფი დე შოლეს სიტყვები: **„მიუხედავად დიდი თანაგრძნობისა, რომელსაც ბადებს სომხების სიღარიბე და ტანჯვა-ვაება, მე ვერასოდეს მოვახერხე მათთან დაახლოება, რადგან ვერ შევეგუე მათ ზიზღისმომგვრელ ცხოვრებას, სულმდაბლობას და გულისამრევ სიმუხთლეს"**. და იქვე ძველი რომაელი მწერლისა და ისტორიკოსის ტაციტუსის სიტყვები (53-ე პარაგრაფი), რომელიც სომხების შესახებ წერს: **„ეს არის დასაბამიდან ორსახოვანი ხალხი, როგორც ხასიათით, ასევე გეოგრაფიული მდგომარეობით!"**

(გამონაკლისები, ალბათ, ყველა ხალხშია).

აი, რა ხალხი მრავლდება და „ქართველები არ უნდა გამრავლდნენო!"

გასაგები უნდა იყოს, ვის ვერდიქტს მივდევთ, ჩვენ, ქართველობა და ისიც გასაგები უნდა იყოს სანამდე მიგვიყვანს ყოველივე ეს!

დღეს, როცა ჩვენი ქვეყნის აბორიგენი ქართული მოსახლეობა დემოგრაფიული კატასტროფის ზღვარზე დგას, როცა ქართველები ყოველწლიურად თითო პროცენტით ვმცირდებით, როცა ჩინელებს აოცებს ჩვენი ხალხის სიმცირე და ისიც რატომ ქართველთა ოჯახებში არ იზრდება 3-4 შვილი, იმ პირობებში, როცა კანონი ამას არ კრძალავს, **გადაუდებელ საჭიროებად მიმაჩნია, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ აღადგინოს უფასო მშობიარობა, დაუყოვნებლივ აღადგინოს შვილებზე მატერიალური დახმარებები, შემოიღოს „გმირი დედის" საპატიო წოდება შვიდი შვილის ყოლის თაობაზე პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევის გათვალისწინებით,** როგორც წერს „საქართველოს რესპუბლიკაში" ჟურნალისტი ნათელა ფაილოძე, სახელმწიფომ პრიორიტეტულად აქციოს საქართველოში მესამე ბავშვის გაჩენა და მიმართოს მოსახლეობას სათანადო მოწოდებით, რადგან ნათქვამია: **სამი შვილი — დასტურ შვილი!**

**„ქართული გენოფონდი უნდა გადარჩეს!"**

**გიორგი მახარაძე**
**რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი**

◎ ინფლაცია

# უკეთესის მოლოდინში სიძვირით «ვტკბებით»...

**გამართლდა** ეკონომიკის ექსპერტთა ვარაუდი, ზაფხულში ფასების მატებასთან დაკავშირებით. დენისა და გაზის, ასევე სხვა კომუნალური გადასახადების ტარიფების ზრდამ, ცხადია, გააძვირა პური და პურპროდუქტები, პირველი მოხმარების საგნები და, აქედან გამომდინარე, — ერთიანად ცხოვრებაც.

საოცარია პირდაპირ, გვმოძღვრავენ, ეკონომიკური რეფორმებით საქართველო მოწინავე ქვეყნების რიგშიაო, თუ მართლა ასეთი „მაგრები" ვართ, თითოეული



ჩვენთაგანის ყოფაზე რატომ არ აისახება ეს ვითომდა კეთილდღეობა?

დადგა სექტემბერი. ეს თვე ჩვენს ცნობიერებაში ტრადიციულად სწავლის დაწყებასთან ასოცირდება. მერამდენე წელიწადია სწავლა 1 სექტემბერს არ დაწყებულა!

მოსწავლეთა მშობლებში პანიკა მძლავრობს სახელმძღვანელოებისა და სასკოლო ნივთების მაღალი ფასის გამო. წინასწარ ყიდვაც არ გამოვა, რადგან მანამ სწავლა არ დაიწყება, არც იციან რომელ საგანს რომელი სახელმძღვანელოთი ასწავლიან. ვისაც ერთი შვილი ჰყავს, როგორმე მოახერხებს, მაგრამ ვისაც ოთხიხუთი მოსწავლე ჰყავს შინ, იმან რა ქნას; ახლა ჩასაცმელიც ხომ უნდათ მოსწავლეებს? გაჭირვებულ მშობლებს საიდან ამდენი ფული?

ახლა გადავხედოთ სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მომზადებულ ინფორმაციას და „დავტკბეთ" ყველაფრის სიძვირით.

2007 წლის აგვისტოში სამომხმარებლო ფასების ინდექსი 100,6 იყო. შესაბამისად, ინფლაციის დონე 0,6 პროცენტი, 2006 წელის აგვისტოში იყო 0,4 პროცენტი.

წლეულს აგვისტოში 2006 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ინფლაციის დონემ 7,7 პროცენტი შაადგინა. მიმდინარე წლის აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, სამომხმარებლო ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა პურისა და პურპროდუქტების ჯგუფზე 10,8 პროცენტით; რძეზე, ყველსა და კვერცხის ჯგუფზე — 7,9 პროცენტით, მათ შორის, ყველზე — 13,9 პროცენტით, კვერცხზე — 3,1 პროცენტით, მოუხდელ ახალ რძეზე — 2,2 პროცენტით; ზეთისა და ცხიმის ჯგუფზე — 3,1 პროცენტით, მათ შორის, მზესუმზირის ზეთზე — 4,3 პროცენტით, ნიგოზზე — 15,2 პროცენტით. იგივე პერიოდში სამომხმარებლო ფასები შემცირდა ხილისა და ყურძნის ჯგუფზე — 13,4 პროცენტით, ატამზე — 10, 5 პროცენტით; ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე — 9,6 პროცენტით, მათ შორის, მწვანილზე — 20, 7 პროცენტით, პამიდორზე — 26,1 პროცენტით, ბადრიჯანზე — 62,7 პროცენტიფ, სტაფილოზე — 36,9 პროცენტით, ჭარხალზე — 31,8 პროცენტით.

ამასთან, 2007 წლის აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, სამომხმარებლო ფასები დიზელის საწვავზე საშუალოდ ქვეყანაში გაიზარდა 1,8 პროცენტით. მათ შორის, თბილისში 2,0 პროცენტით, ბათუმში — 2,4 პროცენტით, ქუთაისში 0,4 პროცენტით, გორში — 1,3 პროცენტით ხოლო თელავში — 3,3 პროცენტით.

**ინფორმაციაში კარგად ჩანს, რომ ქვეყნის ეკონომიკურმა გუნდმა ინფლაციას თავი ვერ დააღწია. შედეგი პენსიონერებისა და დაბალხელფასიანთა ბიუჯეტზე კატასტროფულ გავლენას მოახდენს. გვაქვს საქმე სამღერლად და გასართობად? თუ გაქვთ, მიაშურეთ აკვაპარკს, სადაც მარტო შესასვლელი ბილეთი 50 ლარი ღირს. უკეთესს უნდა ველოდოთ? კი, ბატონო, ველოდოთ.**

**ნაზი იმნაიშვილი**

◎ ინფორმაცია

## მიზანია ამერიკული ინვესტორების მოზიდვა

**სასტუმრო** „ქორთიარდ მარიოტში" საერთაშორისო კონფერენცია — „აირჩიე საქართველო" მიმდინარეობს, რომლის ორგანიზატორია ამერიკა-საქართველოს ბიზნესსაბჭო.

კონფერენცია მეათედ ტარდება და მისი მიზანია საქართველოში ამერიკული ინვესტიციების მოზიდვა. მას ესწრებიან როგორც ქართველი, ასევე ამერიკელი ბიზნესმენები და ის პირებიც, რომლებსაც საქართველოში ინვესტიციები უკვე აქვთ განხორციელებული.

შეხვედრის მონაწილეებს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა მიმართა. მან საქართველოში განხორციელებულ რეფორმებსა და საინვესტიციო გარემოზე ისაუბრა.

კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა, აგრეთვე, ეკონომიკური განვითარების მინისტრმა გიორგი არველაძემ.

ამასთან, დაგეგმილია რამდენიმე პრეზენტაციის გამართვა, რომლებიც საქართველოში არსებულ საინვესტიციო გარემოს ასახავს. კონფერენციის მონაწილეები დღეს კახეთში გაემგზავრებიან და რეგიონი საინვესტიციო გარემოს ადგილზე გაეცნობიან.

**ინტერპრესნიუსი**

№ 177. ხუთშაბათი. 13 სექტემბერი. 2007 წელი.

# ქვეყანა

● კახეთის რეგიონში ბოლო წლებში გამგებლების მიერ თანხების არამიზნობრივი ხარჯვა და თანამდებობის ბოროტად გამოყენება თითქმის ტრადიციად ჩამოყალიბდა



◎ კახეთის მხარე

კახეთში გამგებლების მიერ თანხების არამიზნობრივი ხარჯვა და თანამდებობის ბოროტად გამოყენება ბოლო დროს ტრადიციად იქცა. რამდენიმე დღის წინათ, „ადამიანის უფლებათა ცენტრის" გურჯაანის ოფისმა სპეციალური პრესკონფერენცია გამართა, სადაც გურჯაანის გამგებლის რამაზ ქერეჭაშვილის შესახებ საკმაოდ სკანდალური ინფორმაციები გაავრცელა. ცენტრის კახეთის ოფისის ხელმძღვანელმა გელა მთივლიშვილმა გამგებელი ბიუჯეტის თანხების არამიზნობრივ ხარჯვაში დაადანაშაულა და მისი პასუხისმგებლობის საკითხის დასმა მოითხოვა. პრესკონფერენციის კრიტიკულად გაშუქების შემდეგ გამგებელმა საზოგადოებრივი მაუწყებლის კახეთის ბიუროს ხელმძღვანელს თეა ალავერდაშვილს ტელეფონი ესროლა, რომელიც, საბედნიეროდ, კედელს მოხვდა...

# ტელეფონსროლია გამგებელი, «მიუწვდომელი» გუბერნატორი და...

## რად მალავენ საკუთარ ბიოგრაფიას და რად ვერ ხერხდება ხშირად სამხარეო რწმუნებულთან დაკავშირება?

მოგვიანებით, რამაზ ქერეჭაშვილმა ბრალდებებს უსაფუძვლო უწოდა, ტელეკომპანიების რეგიონულ კორესპონდენტებზე ტერორი განახორციელა და მათ კრიტიკული სიუჟეტის მომზადებისთვის სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული ახლობლების თანამდებობიდან გადაყენებით დაემუქრა. როგორც კახეთში მოქმედი მედიასაშუალებების წარმომადგენლები აცხადებენ, იმ დღეს ქერეჭაშვილის კაბინეტიდან ყვირილი დიდხანს ისმოდა. საგულისხმოა, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" კახეთის სამხარეო კორესპონდენტის თეა ალავერდაშვილის მეუღლე პაატა ჯაჭვლიანი უკვე რამდენიმე წელია გურჯაანის გამგეობაში მუშაობს.

ჟურნალისტები შეეცადნენ, მომხდარის შესახებ საქმის კურსში ჩაეყენებინათ კახეთის გუბერნატორი გია ნაცვლიშვილი, მაგრამ მან, როგორც წესი, ამჯერადაც მთელი დღის მანძილზე უპასუხოდ დატოვა ჟურნალისტთა ზარები. მოგვიანებით, მედიასაშუალებების წარმომადგენლებმა გუბერნატორთან დაკავშირება ნაცვლიშვილის პრესმდივნის მარი შაშვიაშვილის მეშვეობით გადაწყვიტეს, თუმცა ამაოდ... როგორც ჟურნალისტები განმარტავენ, პრეს-მდივანმა უკმეხად განაცხადა, რომ **„გუბერნატორს ბევრი საქმე აქვს და ასეთ წვრილმანებზე ვერ მოაცდენდა..."**

შეგახსენებთ, „ადამიანის უფლებათა ცენტრის" კახეთის ოფისმა ქერეჭაშვილის თანამდებობაზე დანიშვნისთანავე გამგებლის ბიოგრაფია და უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობა მოითხოვა, მაგრამ გამგეობამ ინფორმაცია გაასაიდუმლოა.

ცენტრში აცხადებდნენ, რომ საკრებულომ თავის დროზე გურჯაანის გამგებლად რამაზ ქერეჭაშვილის არჩევისას, კანონი დაარღვია, რადგან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი ვერ წარმოადგინეს...

იურისტები განმარტავენ, რომ გამგებლობის კანდიდატი ვალდებულია ჰქონდეს უმაღლესი განათლება, ბაკალავრის ხარისხი მაინც... ეს დადგენილება ნორმატიული აქტია და დაუშვებელია, მას საკრებულოს განკარგულება ეწინააღმდეგებოდეს.

ცენტრში ირწმუნებიან, რომ ამის თაობაზე, საკრებულოს წევრებმა დეტალურად იცოდნენ. თუმცა, ქერეჭაშვილის არჩევისას, არც ერთი წინააღმდეგი არ ყოფილა და არც თავი შეუკავებია ვინმეს. მოგვიანებით, ჟურნალისტებმა გურჯაანის ახალი გამგებლის განათლების შესახებ და შრომითი ბიოგრაფია გამოითხოვეს, თუმცა ქერეჭაშვილმა ეს ინფორმაცია საგულდაგულოდ გაასაიდუმლოვა... თუმცა, მაშინ ჟურნალისტებმა მაინც მოიპოვეს მისი წარსულის საკმაოდ საინტერესო დეტალები. ინფორმაციით, მან საშუალო სკოლა 1990 წელს არცთუ წარმატებით, თბილისში დაამთავრა. იმავე წელს, ერთ-ერთ კომერციულ ინსტიტუტში ჩაირიცხა, რომელიც ერთ წელში დაუმთავრებია. უფლებათა ცენტრმა, ამ სასწავლებლის მიერ ქერეჭაშვილზე გაცემული დიპლომის ქსეროასლი მოითხოვა, თუმცა გამგებელი თავგამოდებით შეეცადა აღნიშნული ინფორმაცია დაებლოკა. ინფორმაციის დასაბლოკად, გამგებელმა უამრავი ადამიანი შეაწუხა.

შეგახსენებთ, რომ რამაზ ქერეჭაშვილი გურჯაანის გამგებლად დანიშვნამდე, ნაციონალური მოძრაობის კახეთის რეგიონალური კოორდინატორი გახლდათ და საკმაოდ გავლენიან ფიგურად მოიაზრებოდა, რის გამოც აკაკი სიხარულიძის გათავისუფლების შემდეგ იგი უალტერნატივო კანდიდატი აღმოჩნდა, რასაც გურჯაანელები აღფრთოვანებით არ შეხვედრიან, თუმცა ადგილობრივები იმასაც აღნიშნავენ, რომ სიხარულიძის მმართველობა უკვე აუტანელი იყო...

ზოგადად, კახეთის რეგიონში ბოლო წლებში გამგებლების მიერ თანხების არამიზნობრივი ხარჯვა და თანამდებობის ბოროტად გამოყენება თითქმის ტრადიციად ჩამოყალიბდა. მიუხედავად იმისა, რომ კახელი გამგებლების საქმიანობით ხშირ შემთხვევაში პროკურატურა ინტერესდება, მათ უმრავლესობას ადგილობრივები სულ მალე ქუჩაში ლაღად მოსეირნეს ხედავენ. სამწუხაროდ, კახეთის სხვადასხვა რაიონის გამგებლებმა დაკავებული წინამორბედების შეცდომები საუკეთესო გაკვეთილად ვერ გამოიყენეს და ბიუჯეტის თანხებისკენ ხელი მაინც წაუცდათ...

# კახეთის ადმინისტრაცია გურჯაანში არ გადავა!

გასულ კვირას კახეთში აქტიურად საუბრობდნენ რეგიონალური ცენტრის თელავიდან გურჯაანში გადატანის თაობაზე. ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ ახლო მომავალში თელავი ჩაკეტილ ქალაქად უნდა გამოცხადდეს, კახელებში ქაოსი გამოიწვია.

რამდენიმე დღის წინათ, გუბერნატორმა გია ნაცვლიშვილმა შექმნილი აჟიოტაჟის გასანეიტრალებლად სპეციალური განმარტება გააკეთა, სადაც ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ ადმინისტრაციული ცენტრი თელავიდან გურჯაანში ვერ გადავა, რადგან ქალაქს, რომელსაც რეგიონული ცენტრის სტატუსი აქვს, განსაკუთრებული წარსული და ისტორია უნდა ჰქონდეს: **„კახეთის ადმინისტრაცია გურჯაანის რაიონში არავითარ შემთხვევაში არ გადავა! ამას გარდა, ეს იმდენ ხარჯთანაა დაკავშირებული, უმჯობესია, ამ თანხით სხვა სასიკეთო საქმე გაკეთდეს და პრობლემები მოგვარდეს..."** – აცხადებს პრეზიდენტის რწმუნებული.

**„ამ მხრივ გურჯაანი რეგიონული ცენტრის სტატუსს ვერ მოირგებს, რადგან, როგორც ცნობილია, კახეთში ინვესტიციები ძირითადად, ორ ქალაქში, სიღნაღსა და თელავში უნდა განხორციელდეს. მეზობელი რაიონები კი მათ გარშემო განვითარდებიან",** – აცხადებს გუბერნატორის მოადგილე თემურ ლამაზოშვილი.



შეგახსენებთ, რომ წლების მანძილზე თელავში არსებული რეჟიმისა და განუკითხაობის გამო არასამთავრობო და უფლებადაცვითი ორგანიზაციების, ასევე დამოუკიდებელი მედიასაშუალებების თითქმის მთელი შემადგენლობა გურჯაანში განთავსდა, რის გამოც ამ უკანასკნელმა ბევრ სფეროში თელავს მეტოქეობა გაუწია. მხოლოდ გურჯაანში ხუთი რეგიონული და ორი რაიონული გაზეთი გამოიცემა, თელავში კი არც ერთი(!). დამოუკიდებელი მედიასაშუალებები თელავში არსებულ ზეწოლას ვერ უძლებდნენ და უმალ იხურებოდნენ, რედაქტორები კი დღესაც საზღვარგარეთ გახიზნულები არიან. ამ დროისთვის ადგილობრივი მედიასაშუალებებიდან თელავში მხოლოდ ტელეკომპანია „თანამგზავრი" მაუწყებლობს.

ამ უკანასკნელის დაჩოქებასაც „თელავის ფაშად" წოდებული ექსგამგებელი გოჩა მამაცაშვილი არაერთხელ შეეცადა, ხან ფინანსური პოლიცია შეაგზავნეს, ხანაც ოფისიდან გამოაძევეს, თუმცა პრობლემების მიუხედავად „თანამგზავრი" ორთვიანი პაუზის შემდეგ კრიტიკულ მაუწყებლობას ჩვეულ რიტმში განაგრძობს. როგორც არხის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი ნატო მეგუთნიშვილი აცხადებს, ახალი სამაუწყებლო სეზონიდან „თანამგზავრი" „რუსთავი2"-ის რეტრანსლიაციას შეწყვეტს და ეთერს მთელი დღის მანძილზე საკუთარი ძალებით შეავსებს.

# რატომ გაუარესდა კოდექსი?

## აინტერესებს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას"

საქართველოს პარლამენტი 2007 წლის საშემოდგომო სესიაზე საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მეორე და მესამე მოსმენით მიღებას გეგმავს. ცნობილია, რომ კოდექსის პროექტი, რომლის „დღევანდელი ვერსია" 2004 წლიდან მუშავდება, პარლამენტმა გასულ გაზაფხულს პირველი მოსმენით უკვე მიიღო.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ პროექტმა 2004 წლიდან – დღემდე სახე მნიშვნელოვნად იცვალა, რასაც თან ახლავს მრავალი უარყოფითი მხარე...

სწორედ ამიტომ, არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე გიორგი ჩხეიძე პარლამენტის წევრებს საგანგებო წერილით მიმართავს, და სთხოვს, ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს პირვანდელი სახე დაუბრუნდეს.

წერილი საქართველოს პარლამენტის თითოეულ წევრს დაეგზავნა. საია-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ბექა კოკაიამ ჩვენთან საუბრისას განაცხადა, რომ წერილი ასევე გაეგზავნათ საქართველოს პრეზიდენტის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, საქართველოს გენერალურ პროკურორს და მთავრობის – საპარლამენტო და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნებს.

**გვერდი მოამზადა ილია მარტყოფლიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



№ 177. ხუთშაბათი. 13 სექტემბერი. 2007 წელი.

● საქმე შემოიფარგლა მხოლოდ იმით, რომ საერთაშორისო ექსპერტებმა დაადასტურეს რუსეთის მიმართულებიდან საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევა. ევროპის ორგანიზაციებმა შეინარჩუნეს ნეიტრალიტეტი შეფასებების დროს



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ოსი ხალხის მე-6 ყრილობისთვის ემზადებიან



**თვითაღიარებულ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში დასკვნით ფაზაში შევიდა მზადება ოსებისთვის მნიშვნელოვანი მოვლენისათვის — ოსი ხალხის მე-6 ყრილობისთვის. იგეგმება სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანების შესახებ განცხადების გაკეთება. თბილისის ნებართვის გარეშე ამ ფორუმის გამართვამ საქართველოს ხელისუფლების უკმაყოფილება გამოიწვია. ქართულმა მხარემ, შესაძლოა, ყრილობას ცხინვალზე მშვიდობიანი მარშით უპასუხოს.**

სამშაბათს თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ მიიღო ჩრდილოეთ ოსეთის ეროვნებათა საქმეების მინისტრი თეიმურაზ კასაევი. როგორც სამხრეთ ოსეთის პრესისა და ინფორმაციის კომიტეტში გვითხრეს, შეხვედრის დროს მხარეებმა იმსჯელეს ყრილობის მომზადებაზე, რომელიც უნდა გახდეს „უმნიშვნელოვანესი მოვლენა მთელი ოსი ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში".

ამჯერად ყრილობა პირველად გაიმართება თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალში. 18-19 სექტემბრისათვის დანიშნულ ამ ფორუმზე 306 დელეგატი შეიკრიბება. ყრილობაზე, რომელიც გაიმართება სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების 17 წლისთავის წინ, იგეგმება, რომ გამოაცხადებენ სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანების შესახებ. როგორც თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მთავრობაში ამბობენ რომ, ეს შეასხამს ხორცს ოსი ხალხის მრავალსაუკუნოვან ოცნებას.

**დიმიტრი კოპილოვი,**

**(იბეჭდება შემოკლებით)**

**ВЗГЛЯД**
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

# სააკაშვილის მრავალჯერადი რაკეტა

**ორი კვირის შემდეგ, 24 სექტემბერს, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გაემგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მიიღებს მონაწილეობას გაეროს** გენერალურ ასამბლეაში. თბილისში დარწმუნებული არიან, რომ საქართველოს ლიდერი გაეროს ტრიბუნას გამოიყენებს რუსეთის წინააღმდეგ იმ ახალი ბრალდებების წამოსაყენებლად, რომლებიც უკავშირდება მის საშუამავლო საქმიანობას კონფლიქტების მოწესრიგების საქმეში. აშკარაა, რომ ამ კონტექსტით საქართველო გაიხსენებს ასევე აგვისტოს „სარაკეტო ინციდენტსაც".



რაკეტასთან დაკავშირებული ინციდენტი საქართველომ გამოიყენა ოლიმპიური პრინციპით: მთავარი გამარჯვება კი არა, მონაწილეობაა.

„ჩვენი მიზანია თავიდან ვიცილოთ მსგავსი ფაქტები და არა მხოლოდ რეაქცია მოვახდინოთ მათზე", — აღნიშნა ამ დღეებში გერმანიაში ვიზიტის დროს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა.

„საქართველომ მიაღწია სასურველს, მიიპყრო საერთაშორისო გაერთიანების ყურადღება, კიდევ ერთხელ დაანახა მას, თუ რა საშიში შეიძლება იყოს რუსეთი, — თქვა პოლიტოლოგმა შალვა ფიჩხაძემ. — საქართველოსთვის მაქსიმალური მიღწევა იქნებოდა გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციების — ეუთოს ან ევროკავშირის მიერ მის მხარდასაჭერად გაკეთებული პოლიტიკური განცხადება. ეს არ მომხდარა. საქმე შემოიფარგლა მხოლოდ იმით, რომ საერთაშორისო ექსპერტებმა დაადასტურეს რუსეთის მიმართულებიდან საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევა. ევროპის ორგანიზაციებმა შეინარჩუნეს ნეიტრალიტეტი შეფასებების დროს. როგორც შალვა ფიჩხაძეს მიაჩნია, მიხეილ სააკაშვილი რაკეტასთან დაკავშირებულ ინციდენტს გაიხსენებს გენერალური ასამბლეის ტრიბუნიდანაც იმ იმედით, რომ დაჩქარდეს საქართველოს შესვლა ნატოს რიგებში.

**მიხეილ ვიგნანსკი**

**(იბეჭდება შემოკლებით)**

**ВРЕМЯ**
**НОВОСТЕЙ**

# გელა ბეჟუაშვილი: აფხაზების და ქართველების დაახლოებას რუსი სამშვიდობოები უშლიან ხელს

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი იმყოფება შეერთებულ შტატებში, სადაც ხვდება ამერიკის კონგრესს და სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებს. იგი ასევე შეხვდა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს კონდოლიზა რაისს.**

როგორც ქართული ტელეკომპანია „იმედი" იუწყებოდა, ამერიკელებმა ბეჟუაშვილს აღუთქვეს მხარდაჭერა ქვეყნის ნატოში გაწევრიანების საქმეში.

წარმომადგენელთა პალატის საგარეო კავშირურთიერთობის კომიტეტის ხელმძღვანელმა ტომ ლანტოსმა განაცხადა, რომ „შეერთებული შტატები კმაყოფილია იმ ნაბიჯებით, რომლებსაც საქართველო დგამს ნატოში შესვლისთვის". „ძალიან მალე დადგება ის დრო, როცა ალიანსის წევრი სხვა ქვეყნებიც გაიზიარებენ ამ პოზიციას, მით უმეტეს, რომ საქართველოს მიერ არჩეული გეზი სწორია", — აღნიშნა ტომ ლანტოსმა.

ბეჟუაშვილმა განაცხადა: „ჩვენი მთავარი მიზანია მივაწოდოთ ინფორმაცია პარტნიორებს საქართველოს გეგმების შესახებ. ჩვენ გვჭირდება მათი მხარდაჭერა ნატოში შესვლისა და კონფლიქტების მოწესრიგებისთვის. ამ პროცესში უნდა გაიზარდოს შეერთებული შტატების როლი". როგორც მინისტრმა თქვა, შეერთებულ შტატებში იგი ასევე იმსჯელებს საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე. „აქ გაგებით ეკიდებიან იმას, რომ საქართველო განიცდის ზემოქმედებას რუსეთის მხრიდან", — აღნიშნა ბეჟუაშვილმა.

„რაც შეეხება ჩვენი ჯარის მომზადების ხარისხს, ამის შესახებ სენატში უკვე ილაპარაკა ამერიკელმა გენერალმა. მან დიდი შეფასება მისცა საქართველოს კონტინგენტს, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ერაყში", — თქვა საქართველოს საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურმა.

ბეჟუაშვილი ასევე გამოვიდა კარნეგის ცენტრში. იგი, კერძოდ, შეეხო საქართველო-რუსეთის ურთიერთობას. მინისტრმა განაცხადა, რომ რუსები უკანონოდ იძენენ უძრავ ქონებას აფხაზეთში. რუსი სამშვიდობოები კი მშვიდობის დაცვის ნაცვლად, პრაქტიკულად, უშლიან ხელს ქართველი და აფხაზი ხალხების დაახლოებას.



**РОСБАЛТ**

# წლეულს საქართველოში სამხედრო ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის მესამედს გადააჭარბებს

**საქართველო სწრაფი ტემპით ზრდის თავდაცვით პოტენციალს. ქვეყნის პარლამენტი პარასკევისთვის აპირებს 200-მილიონი დოლარით გაზარდოს არმიისთვის განკუთვნილი ხარჯები. წლეულს ეს თან**ხა პირველად გადააჭარბებს მილიარდ ლარს და შეადგენს ქვეყნის წლიური ბიუჯეტის მესამედზე მეტს. სახსრების ნაწილი მოხმარდა თბილისის გარეუბანში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ქვეგანაყოფისთვის ახალი საწვრთნელი ცენტრის შექმნას. ბაზა, რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ პრეზიდენტის დაცვის მოსამზადებლად იყო განკუთვნილი, ორშაბათს თვით მიხეილ სააკაშვილმა გახსნა.



როგორც მან თქვა, უახლოეს მომავალში დასრულდება გორში დიდი სამხედრო ბაზის მშენებლობა, ინტენსიურად მიმდინარეობს ვაზიანის სამხედრო ბაზის მოდერნიზაცია, ფართოვდება ქუთაისის სამხედრო ბაზა.

ამავე დროს, სააკაშვილის ასეთი მოქმედება თვით დასავლელი ექსპერტების შეშფოთებასაც იწვევს. მათ ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ შეიარაღებული ძალების დაფინანსების ამ დაგეგმილ ზრდაში მთლიან შიდა პროდუქტთან შედარებით სამხედრო ხარჯების შეფარდება მიაღწევს 4-4,5 პროცენტს, რაც იმ დონესაც კი აღემატება, რომელიც სჭირდება საქართველოს ნატოში გაწევრიანებისთვის.

პრეზიდენტის კურსს თვით საქართველოშიც ბევრი აკრიტიკებს. კერძოდ, ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ამჟამად კი ოპოზიციური პარტიის „საქართველოს გზის" ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ „მთავრობა ძალზე ბევრს ხარჯავს თავდაცვისთვის და ძალზე ცოტას „სოციალური პროგრამებისთვის". მისი აზრით, იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს საქართველო ემზადებოდეს ომისთვის, თუმცა ბოლომდე ნათელი არ არის, თუ სად, როდის და ვისთან მოუწევს მას სამხედრო დაპირისპირება.

**ანატოლი გორდიენკო**

**(იბეჭდება შემოკლებით)**

**НЕЗАВИСИМАЯ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ახალი ბომბის შემქმნელებმა თავიანთ პირმშოს უწოდეს „ყველა ბომბის მამა“ — ამერიკული ვაკუუმური საბრძოლო მასალის ანალოგიურად, რომელსაც არაოფიციალურად ჰქვია „ყველა ბომბის დედა“



# რუსეთმა ვაკუუმური ბომბი გამოსცადა

რუსეთის არმიამ გამოსცადა ახალი ვაკუუმური ბომბი, რომლის სიმძლავრეც, როგორც სამხედროები ამტკიცებენ, შეიძლება შევადაროთ მხოლოდ ბირთვულ საბრძოლო მუხტს.

რუსეთის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ ალექსანდრე რუკშინმა განაცხადა, რომ ახალი ბომბის შექმნით არ ირღვევა მოსკოვის მიერ ხელმოწერილი არც ერთი საერთაშორისო ხელშეკრულება, მისი გამოყენება კი არ იწვევს გარემოს გაჭუჭყიანებას.

„საავიაციო საბძოლო მასალის გამოცდის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ იგი თავისი ეფექტიანობითა და შესაძლებლობებით უტოლდება ბირთვულ ბომბს“, — თქვა რუკშინმა რეპორტაჟში, რომელიც გადასცეს რუსეთის ტელევიზიის პირველი არხისა და ტელეარხ „როსიის“ ეთერით.

რეპორტაჟის დროს ითქვა, რომ ახალი ბომბის შემქმნელებმა თავიანთ პირმშოს უწოდეს „ყველა ბომბის მამა“ — ამერიკული ვაკუუმური საბრძოლო მასალის ანალოგიურად, რომელსაც არაოფიციალურად ჰქვია „ყველა ბომბის დედა“.

ჟურნალისტთა მონაცემებით, რუსული სპეციალისტების ეს ნამუშევარი ოთხჯერ უფრო მძლავრია ამერიკულთან შედარებით, ბომბის აფეთქების ცენტრში წარმოქმნილი ტემპერატურა კი ერთიორად აღემატება მისი ამერიკული წინამორბედის მაჩვენებელს. იგი თავის კონკურენტს ასევე „ჩაგრავს“ დაზიანების ფართობის მიხედვითაც — 300 მეტრი 150 მეტრის ნაცვლად.

რუსეთის ტელევიზიის ეთერით უჩვენეს ახალი ვაკუუმური ბომბის გამოცდა. ფირზე ჩანს თუ როგორ ჩამოაგდო რუსულმა ტუ-160 ტიპის ზებგერითი სიჩქარის მქონე სტრატეგიულმა ბომბდამშენმა იგი პოლიგონზე, რასაც მძლავრი აფეთქება მოჰყვა. უჩვენეს ასევე აფეთქების შედეგები: დაზიანებული მრავალსართულიანი სახლი, გადამწვარი მიწა, სამხედრო ტექნიკის ნამსხვრევები და ქვები.

ვაკუუმური ბომბის მოქმედების პრინციპია ის, რომ სამიზნის თავზე ხდება სპეციალური ნივთიერებების გამოფრქვევა და აფეთქება.

პირველ არხზე მომზადებული რეპორტაჟის ავტორმა განაცხადა, რომ ვაკუუმურ ბომბს შეუძლია შეცვალოს მცირე სიმძლავრის ზოგიერთი ბირთვული საბრძოლო მასალა.

მიმომხილველების აზრით, ახალი მძლავრი რუსული იარაღის გამოჩენის შესახებ ინფორმაციის გავრცელება კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ კრემლს სურს მთელ მსოფლიოს უჩვენოს თავისი ძლიერება.

აგვისტოში რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა განაახლებს სტრატეგიული ავიაციის ფრენას, მათ შორის ეს მოხდება როგორც ტუ-160 ბომბდამშენებით, ისე შედარებით მოძველებული ტუ-95 ტიპის თვითმფრინავებითაც.

აღსანიშნავია, რომ რუსი სამხედროები ჯერ კიდევ 1999 წელს იმუქრებოდნენ ჩეჩენი სეპარატისტების წინააღმდეგ განხორციელებული ოპერაციის დროს ვაკუუმური ბომბის გამოყენებით, მაგრამ მაშინ ამან საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან დიდი პროტესტი გამოიწვია. თუმცა, ძნელი სათქმელია, ნამდვილად გამოიყენეს თუ არა რუსებმა ასეთი იარაღი ჩრდილოეთ კავკასიაში.

## ნეონაცისტებს ბრალდებები წაუყენეს

ისრაელის ხელისუფლებამ ოფიციალურად წაუყენა ბრალდებები ქვეყნის 8 მცხოვრებს. როგორც ეჭვობენ, ისინი არიან იმ ნეონაცისტური ბანდის წევრები, რომლებიც ესხმიან თავს ადამიანებს და ხატავენ სვასტიკებს სინაგოგების კედლებზე.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში დაბადებული და ამჟამად ისრაელში მცხოვრები ახალგაზრდების ჯგუფს ბრალად ედება რამდენიმე დანაშაულის ჩადენა, მათ შორის ფიზიკური ძალადობა და რასისტული მასალების გავრცელება.

16-დან 19 წლამდე ასაკის ემიგრანტებმა ისრაელის მოქალაქეობა მიიღეს დაბრუნების შესახებ კანონის საფუძველზე, რადგან ყოველ მათგანს ებრაელი ბებია ან ბაბუა მაინც ჰყავს.

ახალგაზრდები დააპატიმრეს გამოძიების შედეგად, რომელიც დაიწყო ერთი წლის წინათ, როცა თელ-ავივის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ პატარა ქალაქში სინაგოგის კედლები ააჭრელეს სვასტიკებით.

როგორც მანამდე იტყობინებოდნენ, დაპატიმრებულებმა აღიარეს, რომ თელ-ავივშიც ესხმოდნენ თავს ადამიანებს. მათი მსხვერპლი ძირითადად იყვნენ უცხოელი მუშები და რელიგიური ებრაელები.

მაგრამ ნეონაცისტთა ჯგუფის ხელმძღვანელის ადვოკატმა განაცხადა, რომ მისი კლიენტი უარყოფს ყველა წაყენებულ ბრალდებას.



ნეონაცისტთა ბანდის წევრების დაპატიმრებამ ისრაელში საზოგადოებრიობის მწვავე რეაქცია გამოიწვია — გაისმოდა მოწოდებები, რომ საჭიროა შეიცვალოს საიმიგრაციო კანონმდებლობა.

## ბუში ერაყში აშშ კონტინგენტის შემცირებას აპირებს

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ნაწილობრივ უნდა შემცირდეს ერაყში ამერიკელთა კონტინგენტი, თუმცა იგი არ გეგმავს ამ ქვეყნიდან ჯარების მთლიანად გამოყვანას. ასეთი განცხადება გააკეთეს სამშაბათს ადმინისტრაციის ოფიციალურმა პირებმა, რომლებმაც ანონიმურად დარჩენა მოისურვეს.



როგორც მათ თქვეს, თეთრი სახლის მეთაური თვითონ გამოაცხადებს, თუ როგორ ესახება მას ერაყში მოქმედების შემდგომი კურსი. ეს მოხდება ხუთშაბათ საღამოს, როცა ბუში 15-წუთიანი ტელემიმართვით გამოვა ამერიკელი ერის წინაშე.

კერძოდ, იგი იტყვის, რომ გეგმავს 2008 წლის ზაფხულისთვის დააბრუნოს შინ ის ნაწილები (სულ 30 ათასი კაცი), რომლებიც ერაყში გაგზავნეს მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დამატებითი ძალების სახით. ასეთი რეკომენდაცია გამოთქვა ერაყში მრავალეროვნული ძალების სარდალმა გენერალმა დევიდ პეტრეუსმა, რომელსაც ამ ბოლო ორი დღის განმავლობაში შეერთებული შტატების ბაღდადელ ელჩთან რაიან კროკერთან ერთად მოუწია გაეცა პასუხები კონგრესის წევრების მიერ დასმულ საკმაოდ მწვავე კითხვებზე.

პეტრეუსი, კერძოდ, ამტკიცებდა, რომ ის სამხედრო მიზნები, რომლებიც დაისახეს ერაყში დამატებითი ძალების გადასროლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს, „მნიშვნელოვანწილად“ მიღწეულია — ქვეყანაში მოხერხდა ძალადობის დონის შემცირება.

„ჩემი აზრით, შევძლებთ ჩვენი კონტინგენტის შემცირებას ისეთ დონემდე, როგორიც იყო დამატებითი ძალების გაგზავნამდე. თანაც ამით არ შეექმნება საფრთხე ერაყში უშიშროების უზრუნველყოფას“.

ამავე დროს, მან განაცხადა, რომ ეწინააღმდეგება 2008 წლის გაზაფხულისთვის ერაყში მყოფი ყველა საბრძოლო ნაწილის შინ დაბრუნებას, რასაც დაჟინებით მოითხოვენ დემოკრატი-კანონმდებლები. გენერალს ასევე გაუჭირდა იმის თქმა, თუ როგორი ტემპით განხორციელდება ამერიკელთა ჯარების გამოყვანა.

პრეზიდენტმა ბუშმა, როცა მიმდინარე წლის დამდეგს პეტრეუსი დანიშნა ერაყში მრავალეროვნული ძალების სარდლად, იგი დაახასიათა ისეთ გენერლად, რომელსაც ძალუძს გაართვას თავი იქ გაღრმავებულ კრიზისს. თეთრი სახლის მეთაურს არაერთგზის უთქვამს, რომ ერაყში კურსის შეცვლის შესახებ ყველა გადაწყვეტილებას იგი მიიღებს, უწინარეს ყოვლისა, პეტრეუსის რეკომენდაციებზე დაფუძნებით.

№ 177. ხუთშაბათი, 13 სექტემბერი, 2007 წელი.

## ფილიპინების ექს-პრეზიდენტს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს

ფილიპინების ყოფილი პრეზიდენტი ჯოზეფ ესტრადა ბრალეულად ცნეს კორუფციაში და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.

სასამართლომ გადაწყვიტა, რომ 70 წლის ესტრადამ მიითვისა დაახლოებით 4 მილიარდი პესოს ოდენობის სახსრები (85 მილიონი ამერიკული დოლარი). იგი სასჯელს მოიხდის შინაპატიმრობის სახით.

ჯოზეფ ესტრადა ხელისუფლებას ჩამოაშორეს 2001 წელს მასობრივი ქუჩის საპროტესტო გამოსვლების ტალღაზე. ამის შემდეგ ქვეყანას სათავეში ჩაუდგა გლორია აროიო, რომელიც დღემდე რჩება პრეზიდენტის პოსტზე.

ექს-პრეზიდენტის სასამართლო პროცესი დაიწყო მისი გადადგომიდან მცირე ხნის გასვლის შემდეგ; მაშინ მას შინაპატიმრობა მიუსაჯეს. ფილიპინების ყოფილი ლიდერი აცხადებდა, რომ უდანაშაულოა და ამტკიცებდა, რომ აროიო და ქვეყნის რელიგიური თემის ლიდერები თითხნიან მის წინააღმდეგ ბრალდებებს.

სასამართლოს შენობასთან შეიკრიბა ესტრადას სამასამდე მომხრე. თუმცა, მათი რაოდენობა გაცილებით მცირე აღმოჩნდა, ვიდრე ამას ვარაუდობდნენ: ფილიპინების ყოფილი ლიდერი კვლავ საკმაოდ პოპულარულია ქვეყნის მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი მისი ღარიბი ფენების წარმომადგენელთა შორის.

ფილიპინელებისადმი მიმართვის დროს, რომლის ვიდეოჩანაწერი ფარულად გაიტანეს ესტრადას სახლიდან, ექს-პრეზიდენტმა კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თავს ბრალეულად არ მიიჩნევს.

ჯოზეფ ესტრადა — ყოფილი კინომსახიობი — ხელისუფლების სათავეში მივიდა 1998 წლის არჩევნების შედეგად, ამასთან ელიტის წინააღმდეგ ბრძოლა იყო ესტრადას მთავარი კოზირი საარჩევნო კამპანიის დროს.

ესტრადას გამარჯვება ნიშნავდა ფილიპინების პოლიტიკაში ახალი ეტაპის დაწყებას, რადგან იგი არ მიეკუთვნებოდა არც ერთ ტრადიციულ პოლიტიკურ ჯგუფს.




მაგრამ ესტრადას პრეზიდენტობის დროს ხშირად გაისმოდა ბრალდებები მის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენების გამო. ოპონენტები ამტკიცებდნენ, რომ ესტრადა ხშირად იღებდა გადაწყვეტილებებს ქეიფების დროს, დიდძალ ფულს აგებდა სამორინეებში და ჰყავდა უამრავი საყვარელი.

ყოფილი პრეზიდენტი არ უარყოფს, რომ უყვარდა ღვინო და ქალები, თუმცა ამტკიცებს, რომ კინოვარსკვლავის ცხოვრების ყველა ეს ატრიბუტი არჩევნებში გამარჯვების მოპოვებისთანავე მან წარსულში დატოვა.

● ვინაა გამკითხავი? ვის აწუხებს ჩვენი ლტოლვილების, უცხოეთში გადახვეწილი ქართული გენის ბედი!



ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ კვნესა გულისა

# სადაურსა სად წაიყვან, სად აღუფხვრი...

## ჩვენი წინაპრები ადრე ამაში წუთისოფელს ადანაშაულებდნენ, დღეს კი ვის გამო და რატომ გარბიან ქართველები „რეფორმატორი" ქვეყნიდან?

დროა, ჩვენი მთავრობა საგიჟეთს აშენებდეს, თანაც განა ერთს, – ფსიქიატრიული საავადმყოფოების ქსელი დასჭირდება, თუ უცხოეთში გადახვეწილ ქართველთა დაბრუნებაზე საერთოდ ფიქრობს, ასე მითხრა ჩემმა ქალიშვილმა სატელეფონო საუბრისას უცხოეთიდან.

ქვეყანას, საიდანაც ეს საუბარი გაიმართა, განგებ არ ვამხელ, ეშმაკს არ სძინავს. რა იცი, ჩვენს ხელისუფალთაგან რომელიმეს რა მოეხუშტურება. არადა, იმ ქვეყნის ერთ პატარა ქალაქში ასზე მეტი ქართველი ქალია მონებად მიბარებული უცხო ოჯახებს, რომ აქ ახლობელთა ყოფა შეძლებისდაგვარად გააიოლონ, სული მოათქმევინონ ეკონომიკურ სიდუხჭირეში მყოფ ოჯახის წევრებს. უმრავლესობა კი არა, თითქმის ყველა გადაღრძუებული მოხუცებულთა მსახურია. სკლეროზიანი, ფსიქიკურად აშლილი, გაკაპრიზებული ბებრების დამოკიდებულება დღითი დღე ანგრევს მათ ფსიქიკასა და ნერვულ სისტემას. ჰოდა, რაკი ნებაყოფლობით ჰყავთ მონებად, ისე ექცევიან, მონათმფლობელებიც რომ არ ეპყრობოდნენ თავიანთ ქვეშევრდომებს. უვადო და უპირობო პატიმრობაში მყოფთ მორალურ, ზოგჯერ ფიზიკურ შეურაცხყოფასაც განუკითხავად აყენებენ. ჩემს ქალიშვილს ბედმა გაუღიმა, სახელმწიფო სამსახური აქვს, თუმცა არც თუ ისე განათლების შესაბამისი, მაგრამ მცირედ შვებისმომგვრელი. სხვებზე კი ამბობს, ძალიან მეცოდებიან, მათ შემყურეს გული მეთანაღრება, მაგრამ აბა, რა შემიძლიაო. ქართველ დედებს, ბებიებს შვილიშვილებისათვის თავი რომ გაუწირავთ, იმათი გამკითხავი აბა ვინ არის. კი, პრეზიდენტმა, სავარძელი ახლადმორგებული რომ ჰქონდა, ერთი ორჯერ კი თქვა, მალე ყველას დავაბრუნებთო. ახლა ამაზე სიტყვას არავინ ძრავს. ალბათ გააცნობიერა, აქაურ შეჭირვებულ მოსახლეობას ადგილობრივი მთავრობა იმ მათხოვრულ ხელფასიანი სამსახურებითაც რომ ვერ აკმაყოფილებს, მინიმალურ სამომხმარებლო კალათასაც რომ ვერ წვდება. მილიონობით ადამიანის იმედის თვალი საზღვარგარეთ წასულ ოჯახის წევრების გამომუშავებაზეა მიპყრობილი. ვთქვათ და, ერთ მშვენიერ დღეს მართლაც დააბრუნოს ისინი საქართველოს მთავრობამ. მაშინ უნდა შესთავაზოს სამუშაო ადგილები რეალური და არა მიზერული ანაზღაურებით, შეუქმნას სოციალური გარანტიები. ჩვენს ქვეყანაში კი ჯერ საამისო პირობები არ არის. ყველაფერი ძვირდება პურიდან მოყოლებული და იმ მათხოვრული პენსიით, რომელიც ყოველთვიურად გაიცემა საქართველოში, მოხუცებულთა ერთი დღის სარჩოსაც ვერ შეიძენ. მაგრამ ეს ყველაფერი როდია. მონებად გადახვეწილ ათიათასებს კიდევ და კიდევ ემატება. მიდიან და მიდიან ქართველები საქართველოდან. აგერ, ჩემს ნაცნობს ბინის გაყიდვა დასჭირდა, რომ უცხოეთში წასასვლელი 4 ათასი ევრო ჰქონოდა, მაგრამ საქმე განა ადვილად მოაგვარა. თითქმის ნახევარი წელი დასჭირდა, სანამ აქედან გააღწევდა. ის თანხა ხომ ვიღაცამ ჩაიჯიბა, ამას გარდა კიდევ დიდძალი ფული დახარჯა და რომ გააღწია, ბედნიერი იყო, მაგრამ ვაი იმისთანა ბედნიერებას. შვილებთან, შვილიშვილებთან, ახლობლებთან დამშვიდობება, რომ იტყვიან, ქრისტეს ტირილად ექცა.

ამბობენ, არც იქ უადვილდებათ სამსახურის შოვნა. მონის უღელში შებმაც კი არ ყოფილა იოლი. აქედან ჩასულები ზოგჯერ თვეობით ელოდებიან „მყიდველს". ქართველი ქალების რიგი დგას თურმე იქაურ სახელდახელო „შრომის ბირჟებზე". მერე საზღაურიც ხომ იმდენი არაა, რა ფიზიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვაც უწევთ, მაგრამ აქაურ უმუშევრობასთან შედარებით იქ ყოფნა ღვთის წყალობაა.

რამდენი ვერ მიდის და სანამ ჯერ კიდევ იმედი აქვს, იბრძვის, ლამის ჯოჯოხეთად ექცეს ცხოვრება. აგერ, ჩემი კიდევ ერთი ახლობელი. ორი უმაღლესი განათლების მქონე, რამდენიმე უცხო ენის მცოდნე, ყოველმხრივ ნიჭით შემკობილი, წელს იწყვეტს, ფულსაც არ იშურებს, მაგრამ ერთ-ერთი ქვეყნის საელჩოდან ვიზა ვერ მიიღო.

არადა, ყველა საბუთი წესრიგში ჰქონდა. მორალური და მატერიალური ზარალი ხომ მიიღო აქ ყველაფერზე გული აიცრუა. ის ქვეყანა კი, რომლის ვიზაც ვერ მიიღო, დემოკრატიით თავს იწონებს და ადამიანის უფლებების უანგარო დამცველია. თუმცა იმათაც კარგად უწყიან, რომ თითქოსდა დროებით, რაღაც საქმეზე ან ექსკურსიაზე მიმავალნი აქედან ისე გაშპებიან, უკან მომხედავნი არ არიან.

ჩვენებურებმაც კი იციან, იქ რომ ჯოჯოხეთი ელოდებათ. გასული საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს გერმანიაში, დიუსელდორფში ვიყავი ვიზიტად. სხვადასხვა დაწესებულებების მესვეურებთან მქონდა შეხვედრა. თვალში მეცა უცხოელების, განსაკუთრებით თურქების სიმრავლე. ერთმა მასპინძელმა ჩემი ცნობისწადილი დააკმაყოფილა. ჩვენი ახალგაზრდები მძიმე შრომას გაურბიან, ამიტომ თურქები შემოგვყავს. ისინი უკვე სამ მილიონს აღემატებიანო, მითხრა, როგორც გავიგე, დღეს უკვე გერმანიაში 7 მილიონზე მეტი თურქია. მათ არც მუშაობა ეზარებათ და უკვე სერიოზული სამთავრობო პოსტებისკენ სწრაფვის ამბიციაც აქვთ. თუმცა ასეთი ამბიციებით ქართველები იქ არ მიდიან. დალხენილ ცხოვრებას იქ ვინ გაღირსებს, როდესაც საკუთარ სამშობლოს, უფრო სწორად ვარდების ხელისუფლებას ასე ჰყავხარ გამეტებული.

ქართველობა გადაშენების საფრთხის წინაშეა. ამას გვიდასტურებენ გაეროს და დემოგრაფიის საერთაშორისო ექსპერტები. თუმცა რა სხვისი დასტური გვინდა, ჩვენ ვერ ვხედავთ, რომ ახალგაზრდები არ ოჯახდებიან და თუ დაოჯახდნენ, ბავშვის გაჩენისა ეშინიათ? ყველა ხვდება, რომ რაღაც სამი ათეული წლის შემდეგ ქართველობა უმცირესობაში აღმოჩნდებით საკუთარ მიწაწყალზე. ამაზე პრესით, რადიოთი, თვით „სამეფო ტელევიზიითაც" ერთი ამბავი ატეხეს ამას წინათ, მაგრამ ჩვენს მთავრობას ხალხის ტკივილის გასაგონი ყური დახშული აქვს და მხოლოდ იქ ფაჩუნობს, საიდანაც სათავისო ხეირს გამოელის. სწორედ ამიტომ გარბიან ქართველები საქართველოდან. მარტო პირველ სექტემბერს 90-ზე მეტმა გადაკვეთა არალეგალურად ქვეყნის საზღვრები. მათ შორის ათი რუსთაველი ქალბატონია, ვითომ ექსკურსიაზე, რა ეექსკურსიებათ, საექსკურსიო ორსართულიანი იკარუსით იმ ქვეყნებისკენ გარბიან, სადაც სიცოცხლისა და ფიზიკური გადარჩენისათვის ბრძოლას კიდევ აქვს ლოგიკური შედეგი. საქართველო კი სააკაშვილს და მის დამქაშებს ჰქონდეთ, ბენდუქიძე ყიდის, ყიდის, ჯიბეს და ქონს ისქელებს, ცოტა ხანში მაინც უსამშობლოდ დაგვტოვებსო – დაასკვნეს. ჩვენი მშენებელი ბენდუქიძე კი ქვეყნის ეკონომიკას კრუხივით აზის და სათავისოდ დოლარებს ჩეკავს, ისევ და ისევ ჩვენს კისერზეა. ბენდუქიძე რომ არ მოვლინებოდა სამშობლოს, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ჯერ კიდევ ორი წლის წინ ამუშავდებოდა და დღეს იქ სულ ცოტა 5 ათასი კაცი იქნებოდა დასაქმებული. მაშინ იმ ჩემს ახლობელ ქალიშვილს არ დასჭირდებოდა ნერვების წყვეტა უცხოეთის ვიზისთვის. საკუთარ მომავალსაც აქ აიწყობდა, დაოჯახებაზეც იფიქრებდა და ღირსეულ შთამომავლობასაც აღუზრდიდა სამშობლოს. და კიდევ სხვა ასობით ადამიანი თავის ოჯახში იქნებოდა. დღეს საქართველოში ყველამ იცის, ბენდუქიძე თუ რა დიდი დარდუბალაა ჩვენთვის, მაგრამ აი, პრეზიდენტი რომ ვერ ელევა?

დემოგრაფიის პრობლემებზე ვამბობდი. გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში 94 ათასი ბავშვი იბადებოდა. მაშინაც შობადობა საკმაოდ შემცირებული იყო. 2005 წელს 46 ათასამდე შემცირდა. მას მერე ხომ კატასტროფულად კლებულობს. იმ ციფრში, რასაც სტატისტიკოსები იძლევიან, ახალშობილთა მეტი წილი ხომ არაქართველია. ამ დროს ერის გენოფონდის გადასარჩენად თითსაც არავინ ატოკებს. უფრო მეტიც, უცხოეთში გადახვეწილ დედებს იქით მიჰყავთ თავიანთი შვილები. აბა, ვინ დაითვლის, რამდენი გაიზარდა რუსეთში, გერმანიაში, ამერიკასა და ლამის მთელ მსოფლიოში. ბავშვები კი იქაურ გარემოს ეგუებიან, მათ ცნობიერებაში ყოველივე ქართული იკარგება. ახლახან რუსეთიდან რომ გამოყარეს ჩვენებურები, ბავშვებმა რუსულ სოფლებს მიაშურეს. მხოლოდ თითოოროლა თუ მივიდა ქართულ სკოლებში. ჰოდა, ლამის ორ მილიონამდე ადამიანი რომაა საზღვარგარეთ, ჩვენისთანა პატარა ერს, ისედაც დამცირებულსა და გაპარტახებულს, ასე თუ გაგრძელდა, მამა ღმერთიც ვერ გვიშველის. მერე არაქართულ საქართველოში არც ბენდუქიძეს გააჩერებს ვინმე, არც ქართველ პრეზიდენტსა და ხელისუფლებას ისურვებს.

მოახლოებული არჩევნების წინ ჩვენებურთა გადახვეწაც რომ დღევანდელი ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს, წასულთა თუ წამსვლელთა უმეტესობა ხომ არალეგალურად გადის ქვეყნიდან. საარჩევნო სიებში კი წინა არჩევნების დროს ასე იყო: ორი ან სამი წლის წინათ გარდაცვლილებიც შეჰქონდათ საარჩევნო სიებში. უფრო მეტიც, ერთმა ჩემმა ნაცნობმა მითხრა, ოცი წლის წინათ გარდაცვლილი ბებიაჩემი ქალაქის №25 საშუალო სკოლაში განთავსებულ საარჩევნო უბნის სიაში იწონებდა თავს და, რაც პარადოქსია, რუსთავში ერთხელაც არ იყო ნამყოფი. მაგრამ ამან ხელი არ შეუშალა და „ხმა მისცა" ლიდერი პარტიის დეპუტატობის კანდიდატს. რაღა შორს წავიდე, შვიდი წლის წინათ გარდაცვლილმა ჩემმა სიდედრმა „უპრობლემოდ მიიღო მონაწილეობა" ბოლო არჩევნებში. კიდევ კარგი, კანდიდატად არ დაასახელეს, თორემ რა გვეშველებოდა.

შეაყარე კედელს ცერცვი, წერე და იკითხე. ვინაა გამკითხავი? ვის აწუხებს ჩვენი ლტოლვილების, უცხოეთში გადახვეწილი ქართული გენის ბედი! ისინი იძახიან, პატიმრობაში ვართო, მაგრამ საბოლოო დაბრუნების იმედს მაინც არ კარგავენ. თუმცა ჩვენი ხელისუფლება არც ფსიქიატრიულ საავადმყოფოს აშენებს, რადგან ესენი ყველაფერს ილონებენ, რომ ისინი არასდროს დაუბრუნდნენ თავიანთ ოჯახებს. თუმცა, აქ დარჩენილებს ყოველდღე არ გვაგიჟებენ?

**გივი ჯახუა**



*P. S. ეს წერილი ათიოდე დღის წინათ დაიწერა, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო მხოლოდ ახლა მივაწოდე რედაქციას.*

*ეს დრო დასჭირდა სამშობლოსგან გაწირულ ჩვენს ქალბატონებს დანიშნულების ადგილამდე ჩასაღწევად. ამ ხნის განმავლობაში, როგორც კულტურისა და ხელოვნების მუშაკებმა, თითქმის ნახევარ ევროპას შემოუარეს და ბოლოს უცხოელებს მონებად ჩაბარდნენ.*

*ვიმეორებ, ეს ის „ასეულია", რომელიც პირადად გავაცილე საზღვარგარეთ, სხვა „ასეულები", ვინ იცის, რამდენი გადის და აკლდება ყოველდღიურად საქართველოს.*

*გ. ჯ.*

№ 177. ხუთშაბათი. 13 სექტემბერი. 2007 წელი.

# სპორტი

„არგენტინა უტევდა და უტევდა განუწყვეტლივ. თუმცა მამაცი ქართველები თავს ისე იცავდნენ, თითქოს ანგარიშში ოდნავ წინ იყვნენ და თითოეულ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა“



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ორბიტაზე**

## ჭადრაკის მოყვარულთა გასახარად



**გუშინ** მექსიკის დედაქალაქში გაიხსნა მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში. ბოლო რეიტინგის მიხედვით ამ 21-ე კატეგორიის ტურნირის მონაწილენი ასე გამოიყურებიან: 1. **ვიშვანათან ანანდი** – ინდოეთი (ელოს რეიტინგით 2792 ქულა), 2. **ვლადიმერ კრამნიკი** – რუსეთი (2769), 3. **ალექსანდრე მოროზევიჩი** – რუსეთი (2758), 4. **პეტერ ლეკო** – უნგრეთი (2751), 5. **ლევონ არონიანი** – სომხეთი (2750), 6. **პეტრე სვიდლერი** – რუსეთი (2735), 7. **ბორის გელფანდი** – ისრაელი (2733), 8. **ალექსანდრე გრიშჩუკი** – რუსეთი (2726). როგორც ჩანს, ამ „დიდ რვეულში“ ვერ მოხვდნენ არგენტინული სან-ლუისის ტურნირის ტრიუმფატორები – ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი და უკრაინელი ვასილ ივანჩუკი, რაც, უეჭველად, ტურნირს „მეტ ეშხსა და სილამაზეს“ შემატებდა.

ტურნირი ორ წრედ გაიმართება. გათვალისწინებულია დასვენების სამი დღე – 17,22 და 26 სექტემბერი, ხოლო ბოლო, მე-14 ტურისა (29 სექტემბრის) და შესაძლო ტაი-ბრეიკის შორის გამოსასვლელი დღე გათვალისწინებული არაა.

ჩემპიონატის საპრიზო ფონდი მილიონ 300 ათასი დოლარია.

ისე რომ, უახლოეს სამ კვირაში ჭადრაკის მოყვარულები დიდი საჭადრაკო ბატალიების მომსწრენი იქნებიან. •

## დევენპორტი გამარჯვებით ბრუნდება



**ყოფილი** მსოფლიოს პირველი ჩოგანოსანი, 31 წლის ამერიკელი ლინდსეი დევენპორტი ვაჟიშვილის დაბადების გამო ერთწლიანი შესვენების შემდეგ დიდ ჩოგბურთს დაუბრუნდა. მან მონაწილეობა მიიღო ბალის ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 225 ათასი დოლარია. პირველ წრეში ის შეხვდა ბერძენ ელენა დანილიდუს და დაამარცხა 6:2, 6:2.

ამერიკელი მონაწილეობს წყვილთა ასპარეზობაშიც. სლოვაკელ ჰანტუხოვასთან ერთად მან პირველ წრეში სძლია საფრანგეთ-საბერძნეთის წყვილს – ლეფევრ-სენეგლუს.

## ბექჰემების წყვილის პიკანტური ფოტოსესია

**ვიქტორია** და დევიდ ბექჰემებმა, იდეალური რეპუტაციით რომ სარგებლობენ, ახალი პარფიუმერიის Intimately Beckham Night რეკლამისთვის ქათქათა თეთრეულიან საწოლში ერთობ პიკანტური ფოტოსესია მოაწყეს.

ფოტოსურათები იმ არომატის გავრცელებისთვის, პოპულარული ცოლ-ქმრის სახელს რომ ატარებს, გადაიღო ფოტოგრაფმა ტერი რიჩარდსონმა, სწორედ ნახევრად პორნოგრაფიული ფოტოგრაფიით რომ გაითქვა სახელი.

ჟურნალისტებთან 32 წლის დევიდმა განაცხადა: „ბევრს როდი უნახავს ჩვენი ცხოვრების ეს მხარე. კარგია, რომ ჩვენ არომატი გაგვიჩნდა“.



ვიქტორიამ კი დაამატა: „მე ბარსელონაში, ქარხანაში გავემგზავრე და პარფიუმერებთან ერთად ვმუშაობდი. დევიდს ეს მოეწონა, რადგან ის ნიმუშებს ლებულობდა, ჩვენ ძალზე სექსუალური არომატი მივიღეთ“.

**რაგბი**

## დებიუტი სავარაუდო მარცხით

**მსოფლიო** თასის გათამაშების ფინალურ ეტაპზე საქართველოს მორაგბეებმა ქვეჯგუფში სადებიუტო მატჩი გამართეს ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტთან – არგენტინის ნაკრებთან. ბორჯღალოსნები მოედანზე ასეთი შემადგენლობით გამოვიდნენ: ჯიმშელაძე (შკინინი), მაჩხანელი, ურჯუკაშვილი (გიგაური), ი. გიორგაძე, ხამაშურიძე, კვირიკაშვილი, აბუსერიძე (სამხარაძე), ხინჩაგიშვილი (შველიძე), ა. გიორგაძე, ზირაქაშვილი (კოპალიანი), ზედგინიძე, გორგოძე, ჩხაიძე (ზ. მაისურაძე), ლაბაძე, უდესიანი (დიდებულიძე).

ჩვენმა ბიჭებმა უშიშრად დაიწყეს გრანდთან ბრძოლა და პირველივე იერიშისას კვირიკაშვილმა ზუსტი საჯარიმო დარტყმით ანგარიში გახსნა. მე-12 წუთზე ოკეანისგაღმელებმა (კონტეპომი) წონასწორობა აღადგინეს. სამი წუთის შემდეგ კვირიკაშვილს საკუთარი გუნდის დაწინაურების შანსი მიეცა, მაგრამ 47 მეტრიდან ბურთი მიზანს ააცილა. ამის შემდეგ არგენტინელებს შეტევები არ შეუწყვეტიათ შესვენებამდე, თუმცა მხოლოდ ერთ ზუსტ საჯარიმოს (კონტეპომი) გამორჩნენ – 6:3.



მეორე ტაიმში ორთაბრძოლის სურათი რადიკალურად შეიცვალა მეტოქის სასარგებლოდ. სამხრეთამერიკელებმა, რომლებმაც პირველ ტურში ფრანგებს სძლიეს 17:12, გვიჩვენეს, რისი შემძლენი არიან: 40 წუთის განმავლობაში 4 ლელო (ბორხესი, ალბასეტე (2), არამბურუ), 2 გარდასახვა და ერთი ზუსტი საჯარიმო მიითვალეს, გაიმარჯვეს 33:3 და პრემიული ქულაც დაიმსახურეს.

მატჩის შემდეგ არგენტინელთა მწვრთნელმა მარსელო ლოფრედამ დადებითად შეაფასა ჩვენი გუნდის თამაში – ველოდით ქართველთა მედგარ წინააღმდეგობასო, ბრძანა. რაგბის ვებგვერდზე კი ასეთი ინფორმაციაც გამოქვეყნდა: **„არგენტინა უტევდა და უტევდა განუწყვეტლივ. თუმცა მამაცი ქართველები თავს ისე იცავდნენ, თითქოს ანგარიშში ოდნავ წინ იყვნენ და თითოეულ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა“.**

ასეა თუ ისე, პირველი ორთაბრძოლა დავთმეთ. წინ კიდევ სამი შეხვედრა გველის. იმედია, ბორჯღალოსნები სხვა მატჩებში უფრო ისახელებენ თავს.

**გიორგი გაგუა**

**ფეხბურთი**

## ჯიქი ჯიქინეთშიც შევიქცნჯინეთ

**საქართველოს** 21 წლის ფეხბურთელთა ნაკრებმა ესპანეთში ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირის მორიგი მატჩი გამართა. შეხვედრა მასპინძელთა იერიშებით დაიწყო და ხისკომ მე-13 წუთზე პირენეელები დააწინაურა. ნახევარი საათის შემდეგ გურამ კაშიამ კაპელი საკუთარ საჯარიმოში მოცელა. ხურადომ თერთმეტმეტრიანი უშეცდომოდ გამოიყენა.



თამაშის სცენარი არც შესვენების შემდეგ შეცვლილა. პეტარ სეგრტის შეგირდებმა სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს თანატოლებს. 68-ე წუთზე გრანერომ საჯარიმო დარტყმიდან და მე-80 წუთზე ადრიანმა „ჯვაროსანთა“ კარში კიდევ ორი „მშრალი“ ბურთი გაიტანეს.

4:0 – ასეთი ანგარიშით დაამარცხეს ესპანელებმა ქართველთა გუნდი, რომლის ღირსობას იცავდნენ თევდორაძე, ლვინიანიძე, თომაშვილი, ლობჟანიძე, კაშია, ფოფხაძე, ნავალოვსკი, დაუშვილი, აფრიამაშვილი, მერაბაშვილი (თავბერიძე), გოცირიძე (კახელიშვილი).

ჩვენს ჯგუფში პოლონელებმა ყაზახებს სძლიეს 1:0 (გოლი პავლოვსკიმ გაიტანა). დღეისთვის გათამაშების ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: 6-6 ქულა აქვთ ესპანელებს, რუსებსა (ორ-ორი მატჩიდან) და პოლონელებს (3 მატჩიდან). საქართველოს ნაკრებმა 4 პაექრობიდან მხოლოდ ერთში იმარჯვა და 3 ქულა აქვს. ყაზახებმა სამივე ორთაბრძოლა დათმეს და ბოლო ადგილზე იმყოფებიან.

გაუწყებთ დანარჩენი შეხვედრების ანგარიშებს: **ალბანეთი – იტალია 0:1, ხორვატეთი – აზერბაიჯანი 3:2, ჩეხეთი – ლიხტენშტაინი 8:0, ბულგარეთი – ინგლისი 0:2, პორტუგალია – ჩერნოგორია 4:0, მაკედონია – ესტონეთი 1:0, ლიტვა – სლოვენია 0:0, სლოვაკეთი – ავსტრია 1:1, ისლანდია – ბელგია 0:0, ლატვია – სან მარინო 2:0, მოლდოვა – ისრაელი 1:0, რუმინეთი – ბოსნია 3:0.**

**სუმო**



## „შავი ზღვა“ – აკი ბაშოზე

**ტოკიოს** დარბაზ „კოკუგიკანში“ დაიწყო სუმოისტთა სუპერტურნირი – აკი ბაშო, რომელშიც ქართველი ფალავანი ლევან ცაგურიაც („კოკაი“) მონაწილეობს. პირველ ტურში ჩვენებურმა მე-11 მაეგაშირა ფუტენოს სძლია. მეორე დღეს კოკაი („შავი ზღვა“) მე-13 მაეგაშირა, 24 წლის მონღოლ რიუოსთან დამარცხდა, სამაგიეროდ, მესამე ტურში 36 წლის ვეტერანს კიტაძაკურას აჯობა.

**კალათბურთი**

## ფინიშის სწორზე



**დასასრულს** უახლოვდება კალათბურთელვაჟთა 2007 წლის ევროპის ჩემპიონატი. მეოთხედფინალისტები გამოვლინდნენ E ჯგუფში, სადაც მეორე ეტაპზე ექვსმა გუნდმა მოიყარა თავი. ბოლო ტურში ესპანელებმა ისრაელის ნაკრებს მოუგეს 99:73 და 9 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს. ამდენივე ქულით მეორე ადგილზე დამკვიდრდნენ რუსები, რომლებმაც ხორვატები დაამარცხეს 83:70. მესამე ადგილზე გადაინაცვლეს პორტუგალიელთა მძლეველმა (85:67) ბერძნებმა. მათ 8 ქულა მოუგროვდათ. 7 ქულით მეოთხეზე ხორვატები არიან. ბოლო ორ ადგილს 6-6 ქულით ისრაელი და პორტუგალია ინაწილებს.

SIC!

● აივაზიან-ერემიანის და მისთანების საქმიანობა ნამდვილად არ მეტყველებს მათი ფსიქიური სიჯანსალის სასარგებლოდ, პირიქით — ფსიქიურ დეგრადაციაზე მიუთითებს და მორალურ-ზნეობრივი გახრწნის ნიმუშია




◉ გვეხმაურებიან

# „კარგია მუდამ მტრიანი“

რამდენიმე დღის წინათ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ბატონ ბონდო არველაძის წერილი, რომელიც ეხება სომხეთში გამოცემულ „ისტორიულ ატლასს“, სადაც საქართველო მოქცეულია სომხეთის საზღვრებში (ავტორი, — სურენ აივაზიანი, რედაქტორი — აკადემიკოსი სურენ ერემიანი). ატლასი შედგენილია მოვსეს ხორენაცის წიგნის „სომხეთის ისტორიის“ მიხედვით სომხურ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

სურენ აივაზიანმა სხვა არანაკლები უსინდისობაც ჩაიდინა, ქართული სიმღერის „სულიკოს“ ავტორად სომეხი გამოაცხადა, ხოლო „ვეფხისტყაოსანი“ სომხური ლიტერატურის შედევრად აღიარა. როდესაც წავიკითხე ბონდო არველაძის წერილი, სახტად დავრჩი. ნუთუ შესაძლებელია, მეზობელი სახელმწიფოს მეცნიერებმა ასე უტიფრად ლაფში ამოსვარონ სხვები, მეგობრულად განწყობილი ერი და ბერი, მათი მემკვიდრეობა და კულტურა? რად სჭირდებათ სხვისი საგანძურის მითვისება, რატომ ვერ იცილებენ განდიდების მანიას? რა ღვარძლი და ბოროტება ჩაბუდებულა აივაზიანისა და მისი თანამოაზრეების სხეულში, როცა მეგობრული ქვეყნის ერს „გრუზჩიკებს“ უწოდებენ? მოვიდნენ ჩვენს სადგურებში და ნახონ, ვინ არიან „გრუზჩიკები“.

ვერ გეტყვით, რა „დონის მეცნიერები“ არიან აივაზიანი და ერემიანი, შემიძლია მხოლოდ ჩემი მოსაზრება გამოვთქვა მათი ფსიქიური მდგომარეობის შესახებ. ამ „მკვლევართა“ მხრიდან ბოროტების ნთხევა საქართველოს მისამართით ფსიქიური გადახრის კლასიკური მაგალითია. ფსიქიატრიაში ცნობილია „განდიდების მანია, ასევე რეფორმის ანუ აღმოჩენის ბოდვა“ მანიაკალური მდგომარეობის და ზოგჯერ შიზოფრენიის დროსაც, განსაკუთრებით დაავადების შორს წასულ შემთხვევებში. ავადმყოფი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მან მოახდინა აღმოჩენა რაიმე სფეროში: პოლიტიკურში, მეცნიერულში, ისტორიულში და ა.შ. ასეთი ბოდვები ახასიათებთ როგორც მეცნიერებს (იშვიათად), ასევე, რიგით ადამიანებს, სხვადასხვა პროფესიების მქონე პირებს. ბოდვები და ჰალუცინაციები, ზოგჯერ, აქვთ ისეთ ადამიანებსაც, რომლებიც ნომალურებად ითვლებიან და ჩვეულებრივად ეწევიან თავიანთ საქმიანობას. ზუსტი ზღვარის გავლება ნორმალურ ფსიქიურ მდგომარეობასა და პათოლოგიას შორის ფსიქიატრიაში ჯერჯერობით შეუძლებელია, თუ დაავადება არ არის კლინიკურად ჩამოყალიბებული და ობიექტური გამოკვლევებით დასაბუთებული. მაგრამ ადამიანთა საქმიანობით, ქცევითა და ქმედებებით მსჯელობა მათ ფსიქიკაზე მაინც შესაძლებელია. აივაზიან-ერემიანის და მისთანების საქმიანობა ნამდვილად არ მეტყველებს მათი ფსიქიური სიჯანსალის სასარგებლოდ, პირიქით — ფსიქიურ დეგრადაციაზე მიუთითებს და მორალურ-ზნეობრივი გახრწნის ნიმუშია.




აივაზიანის მიერ გამოქვეყნებული „სომხეთის ისტორიის ატლასი“ გამიზნულადაა შედგენილი სამ ენაზე, რომ მსოფლიოს გააცნონ საკუთარი ქვეყნის „დიდება“ საქართველოს დაკნინების ხარჯზე. ამას ასევე ასწავლიან მოსწავლე-ახალგაზრდობას, ზრდიან მათ ჩვენს მიმართ სიძულვილით. ეს კი ხელს არ უწყობს არა მხოლოდ ქართველი და სომეხი ერების მეგობრობას, არამედ სხვა ერებთან ნორმალურ ურთიერთობებსაც. რუსეთს, ცხადია, მოეწონება სომხეთის ასეთი „აღზევება“, რადგან ისინი ყოველთვის ერთად ცდილობდნენ საქართველოს დაკნინებას და რჯაც კარგად აქვს აღწერილი დავით კლდიაშვილს თავის მოგონებებში, ილია ჭავჭავაძეს „ქვათა ღაღადში“ და იაკობ მუჩათელს „ახალ ქვათა ღაღადში ანუ ვართ თუ არა მდგმურები“. როცა უფიქრდები, თუ რატომ გვემტერებიან სომხები ასე გამეტებით, ამაზე პასუხს ვაჟა-ფშაველა იძლევა: „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“. საქართველოს ტერიტორიის, მისი სილამაზის „სიყვარულმა“ თავგზა უაბნია სომეხ მეცნიერებს და მათ თანამოზრახველებს. სწორედ ქართული მიწის სიყვარულმა გამოიწვია ორჯერ თავდასხმა საქართველოზე სომხეთის რეგულარული ჯარების მხრიდან. დავით აღმაშენებელმა კი ორჯერ იხსნა სომხეთი თურქებისაგან, ეს მათ აღარ ახსოვთ...

დადგა დრო, ქართველმა ისტორიკოსებმა სომეხი „მეცნიერების“ მზაკვრობას საკადრისი პასუხი გასცენ, ბრძოლა გამოუცხადონ სომხურ საინფორმაციო ომს და სამარცხვინო ბოძზე გააკრან ყალბისმქმნელები.

საქართველოს ხელისუფლებამ სომხეთის მთავრობას უნდა წარუდგინოს სათანადო ნოტა პროტესტის ნიშნად, ასევე, ყველა ქვეყანას უნდა დაეგზავნოს სომეხ მეცნიერთა მზაკვრული ჩანაფიქრის და ქმედებების უარმყოფელი სათანადო მასალები, აღიძრას საქმე საერთაშორისო სასამართლოში.

სხვაგვარად, არამზადა სომეხ „მეცნიერებს“ ვერ გააჩუმებ!

**მამია მდინარაძე,**
**ფსიქოთერაპევტი, პროფესორი.**

◉ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა:** ორი თვის წინათ გარდამეცვალა ბიძა, რომლის ერთადერთი მემკვიდრე მე ვიყავი, ვინაიდან საკუთარი შვილები არ ჰყოლია და მე ვყავდი შვილად აყვანილი. მას მიუღებელი დარჩა 7 თვის პენსია, გთხოვთ, განმიმარტოთ, შემიძლია მე მივიღო ის თანხა, რომელიც ბიძაჩემს ეკუთვნოდა, მაგრამ მის მისაღებად მძიმე ავადმყოფობის გამო დროულად ვერ მიაკითხა?

**ქეთევან არხოშვილი**

**პასუხი:** ვინაიდან თქვენს ბიძას შვილად ჰყოლიხართ აყვანილი, ბრძანდებით მისი პირველი რიგის მემკვიდრე და საპენსიო თანხები, რომელიც მიუღებელი დარჩენია გარდაცვალების გამო, კანონის თანახმად, თქვენ უნდა მოგეცეთ. გირჩევთ, აღნიშნულ საკითხზე, შესაბამისი საბუთებით, დაუყოვნებლივ მიმართოთ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს იმ რაიონულ განყოფილებას, საიდანაც ბიძათქვენს პენსია ჰქონდა დანიშნული.

• • •

**კითხვა:** ვარ II მსოფლიო ომში დაღუპულის ქვრივი. ვიღებ პენსიას მეუღლის ომში დაღუპვის გამო და 22 ლარს გადასახადების დასაფარავად, მეზობელმა მითხრა, მეტი გეკუთვნისო, მართლა ასეა?

**მარიამ თევდორაძე**

**პასუხი:** თქვენ, როგორც II მსოფლიო ომში დაღუპული მეომრის ქვრივს, საყოფაცხოვრებო სუბსიდია — თვეში 22 ლარის ოდენობით, კანონის შესაბამისად, სწორად გეძლევათ.

• • •

**კითხვა:** როგორც ჩვენთვის იყო ცნობილი, საქართველოს მოსახლეების გარკვეული კატეგორია სარგებლობდა შეღავათით ელექტროენერგიის გადასახადის გადახდის დროს. ამ საკითხზე მოქმედებდა გარკვეული წესი



— ვის რამდენი კვტ/საათი შეეძლო მოეხმარა უფასოდ. ახლა რაღაც სუბსიდია დააწესეს ყოველგვარი გადასახადების დასაფარავად, რაც ელექტროენერგიის გადასახადსაც არ კმარა. გთხოვთ, გვაცნობოთ, ნამდვილად გაუქმდა თუ არა ადრე მოქმედი წესი, ვისი გადაწყვეტილებით და როდიდან?

**ჯემალ მილორავა**

**პასუხი:** ელექტროენერგიაზე შეღავათით სარგებლობის ზემოაღნიშნული წესი ძალადაკარგულად ჩაითვლება საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილებით.

• • •

**კითხვა:** ამ ბოლო დროს ხშირად ახსენებენ „საყოფაცხოვრებო სუბსიდიებს“, მაგრამ სრულყოფილად არა ვართ გარკვეული მის არსში. რომელი ორგანოა უფლებამოსილი, გაგვარკვიოს, ვის რა სუბსიდია გვეკუთვნის გადასახადების დასაფარავად?

**ელენე მეტრეველი**

**პასუხი:** 2007 წლის 1 ივლისამდე საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანო იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი — საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ხოლო 2007 წლის 1 ივლისიდან — ზემოაღნიშნული სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება — სოციალური სუბსიდიების სააგენტო.

• • •

**კითხვა:** ვისი დადგენილებით ხორციელდება სოციალური შეღავათების მონეტიზაციის პროგრამა?

**გიორგი შალამბერიძე**

**პასუხი:** სოციალური შეღავათების მონეტიზაციის პროგრამა ხორციელდება „საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

• • •

**კითხვა:** 10 წელია ვმუშაობ შპს-ში მაღალ ხელფასზე, ჩამეთვლება თუ არა აღნიშნული შრომის სტაჟი?

**ამირან სახოკია**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, კერძო სტრუქტურაში მუშაობა შრომის სტაჟში ჩაგეთვლებათ.

• • •

**კითხვა:** ვმუშაობ ერთ-ერთ დაწესებულებაში მთავარ ბუღალტრად. ადრე ჩვენი დაწესებულების ზემდგომი ორგანოებიდან ვიღებდით სათანადო განმარტებებს საავადმყოფო ფურცლის ან ორსულობისა და მშობიარობის გამო კუთვნილი თანხების ანაზღაურების შესახებ. ახლა კი არავინ არაფერს გვეუბნება, როგორც გავიგეთ, ცვლილებები შევიდა დეკრეტული შვებულების საკითხებში. გთხოვთ, გაგვარკვიოთ, ვის უნდა მიმართოს ორსულმა დახმარების მისაღებად და რა ევალება დაწესებულებას ამ საკითხის დროულად გადასაწყვეტად?

**ოთარ კოტრიკაძე**

**პასუხი:** დახმარებისა და კომპენსაციის გაცემის წესში ცვლილებები შევიდა 2006 წლის 29 დეკემბერს. რაც შეეხება თქვენთვის საინტერესო საკითხს: დასაქმებული (მოსამსახურე დახმარების) კომპენსაციის მისაღებად საავადმყოფო ფურცლის ასლთან ერთად წარუდგენს დასაქმებულს/დაწესებულებას და ითხოვს ანაზღაურებად შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, რის საფუძველზეც დამსაქმებელი/დაწესებულება ავსებს საავადმყოფო ფურცლის შესაბამის ნაწილს, რომელსაც დაფინანსების განაცხადთან და დასაქმებულის/მოსამსახურის პირადობის მოწმობის ასლთან ერთად, წარუდგენს დამსაქმებლის/დაწესებულების იურიდიული მისამართის/ადგილსამყოფელის მიხედვით სოციალური სუბსიდიების სააგენტოს შესაბამის ფილიალს.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

● დიდია ბატონ მ. სულაბერიძის წვლილი ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდასა და მომზადებაში, იგი ორი ათეული წელი მუშაობდა პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკის კათედრაზე



ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ ადამიანი დროში

# მისი წლები მართლაც მისი სიმდიდრეა

## მამია სულაბერიძე – 75

ჭეშმარიტად შესანიშნავ პიროვნებასა და ღირსეულ მამულიშვილზე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატზე, დამსახურებულ ეკონომისტზე, კავშირგაბმულობის დარგის ღვაწლმოსილ მუშაკსა და შრომის ვეტერანზე, ბატონ მამია სულაბერიძეზე ძნელია რაიმე ახლის დაწერა. მიზეზი ის გახლავთ, რომ ვინც მას იცნობს, ყველას ერთნაირი, ერთმნიშვნელოვანი აზრი აქვს მასზე – ის გახლავთ უაღრესად კეთილშობილი და კეთილმოსურნე, ზედმიწევნით თავდადებული შრომაში, ძალზე თავმდაბალი და პრინციპული, დიდი ინტელექტით დაჯილდოებული, ჭეშმარიტი პროფესიონალი, საუცხოო მეგობარი, მოქალაქე და პატრიოტი.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მან წარჩინებით დაამთავრა ელექტროკავშირგაბმულობის თბილისის ტექნიკუმი და უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე.

მუშაობა სწავლის პერიოდშივე დაიწყო. სრულიად ახალგაზრდა დაინიშნა კავშირგაბმულობის სართიჭალის განყოფილების უფროსად, მალე გადმოიყვანეს ჯერ თბილისის 32-ე, შემდგომ 42-ე განყოფილების უფროსად, სადაც წარმოჩინდა როგორც კარგი ხელმძღვანელი და სპეციალისტი. სპეციალურ კურსებზე კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგ დაინიშნა დარგის ერთ-ერთ რესპუბლიკური ორგანიზაციის უფროსად. 1965 წლიდან კავშირგაბმულობის სამინისტროს აპარატშია, ჯერ საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის უფროსად, ხოლო 1971 წლიდან 1993 წლამდე – საგეგმო-საფინანსო, ეკონომიკური და საფინანსო სამმართველოს უფროსად. 25 წელი იყო სამინისტროს კოლეგიის წევრი...

ბატონ მ. სულაბერიძის უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით დარგში განხორციელდა მეტად მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ტექნიკური ღონისძიებები, რეფორმები და რეორგანიზაციები, ტარდებოდა ახალი სატარიფო პოლიტიკა. მას დიდი წვლილი მიუძღვის სისტემის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების დახვეწაში, ძირითადი მშენებლობის შესრულებაში, სახელმწიფო ბიუჯეტთან ურთიერთობაში, დარგის კაპიტალური მშენებლობის დაფინანსებაში, მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების პროექტების მომზადებასა და განხილვა-დამტკიცებაში.

დიდია ბატონ მ. სულაბერიძის წვლილი ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდასა და მომზადებაში, იგი ორი ათეული წელი მუშაობდა პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკის კათედრაზე. ლექციებს კითხულობდა ელექტროტექნიკურ ტექნიკუმშიც. 14 წელი წარმატებით მოღვაწეობდა ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში პასუხსაგებ თანამდებობებზე. ინსტიტუტის შრომების კრებულებში და სხვა სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული აქვს 15 სამეცნიერო სტატია, არის რამდენიმე წიგნის ავტორი. ამჟამად გამოსაცემად მზადა აქვს კიდევ ერთი წიგნი.

მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობა ღირსეულადაც ფასდებოდა. სხვადასხვა დროს მიღებული აქვს სამი ორდენი და ოთხი მედალი. არის ღირსების ორდენოსანი.

ბატონი მამია სულაბერიძე დღესაც ჩვეული შემართებით აგრძელებს მუშაობას. ვუსურვებთ მას დიდხანს სიცოცხლესა და ნაყოფიერ შემოქმედებას.

**საქართველოს ტელეკომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კავშირის გამგეობა**

## განცხადება

# აუქციონის ჩატარების შესახებ

ქუთაისის საგადასახადო ინსპექცია 2007 წლის 17 ოქტომბერს დღის 14 საათზე, ბაღდათში, წერეთლის № 9-ში (ბაღდათის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) შპს „მე-10 საგზაო საექსპლოატაციო სამმართველოს“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს აუქციონს.

სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

ა) 1. საზეინკლო საამქრო, 116,96 კვმ. შეფასებულია 2605 ლარად;

2. ფარდული 240 კვმ. შეფასებულია 1100 ლარად;

3. ცემენტის საწყობზე მიდგმული შენობა, შეფასებულია 1240 ლარად;

4. საყარაულო ჯიხური, 14,28 კვმ. შეფასებულია 280 ლარად;

5. აბანოს შენობა, 62,9 კვმ. შეფასებულია 1155 ლარად;

6. ცემენტის საწყობი, 172,64 კვმ. შეფასებულია 1860 ლარად;

7. საწვავის გასაცემი სადგური 15,5 კვმ. შეფასებულია 250 ლარად;

8. ცისტერნები:
1.45 X 2.95 – 360 ლარად,
1.40 X 2.85 – 330 ლარად,
2.85 X 4.20 – 2002 ლარად,
2.20 X 2.80 – 795 ლარად,
2.5 X 1.4 X 1.4– 367 ლარად.

9. კარადა რკინის 3 ცალი, 360 ლარად.

10. ტანსაცმლის საკიდი, 100 ლარად.

11. მაგიდა უჯრებიანი, 50 ლარად,

12. სეიფი, 4 ცალი, 400 ლარად, სულ 13254 ლარი;

ბ) 13. ავტომანქანა კაზ-45-40, შეფასებულია 14000 ლარად;

14. ავტომანქანა ზილ მმზ – 45-02, შეფასებულია 5800 ლარად;

15. სპეცუნივერსალური ტრაქტორი ბელარუსი 3500 ლარად;

16. გრეიდერი, შეფასებულია 1800 ლარად;

17. ასფალტის სატკეპნი კატოკი დუ-47 (7-ტონიანი), შეფასებულია 20000 ლარად;

18. ავტომანქანა იუ-2715, შეფასებულია 208 ლარად;

19. ავტომანქანა გაზ-66-01, შეფასებულია 6500 ლარად;

20. ავტოამწე, ჯართი, შეფასებულია 2080 ლარად;

21. ტრაქტორი კოროვეცი კ-701, შეფასებულია 35000 ლარად;

22. ავტომანქანა კაზ-45-40, 37-59 გრუ. შეფასებულია 7600 ლარად;

23. ავტომანქანა კაზ-45-40 მისაბმელი, 019100, შეფასებულია 3500 ლარად;

24. ასფალტის სატკეპნი კატოკი გდრ-7 RICOMAG BW 200 (7-ტონიანი), შეფასებულია 25000 ლარად;

25. სპეცავტომზიდი გაზ-53 51430 გრბ, შეფასებულია 6500 ლარად;

26. სპეცავტოგუდრონატორი დს-39, ზილ-130 2634 გარ, შეფასებულია 2000 ლარად. სულ ავტოსატრანსპორტო საშუალებები 133488 ლარი.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 146742 (ასორმოცდაექვსი ათას შვიდასორმოცდაორი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2 პროცენტი, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას მისამართზე: ქ.ქუთაისი, რუსთაველის პრ. 1.

ტელ: 8-231-4-20-95; 8-231-4-45-79.

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 32-85-76; 98-65-87 899.

◎ ინფორმაცია

## ევროპული ინტერნეტი საქართველოში

ქართული ინტერნეტ-ბაზრის ლიდერი კომპანია „კავკასუს ონლაინი“ ქართული ინტერნეტის განვითარების საქმეში უპრეცედენტო ინვესტირებას ახორციელებს.

როგორც კომპანიიდან იტყობინებიან, „კავკასუს ონლაინი“ ვარნა-ფოთის ოპტიკურ-ბოჭკოვან მაგისტრალში 50 მილიონი დოლარის ინვესტირებას გეგმავს.

ამერიკული კომპანია ვალდებულებას კისრულობს ზუსტად ერთ წელიწადში შავ ზღვაში ფოთსა და ვარნას შორის დაამონტაჟოს წყალქვეშა ოპტიკური სისტემა. აღნიშნული სისტემა გზას უხსნის „ევროპულ ინტერნეტს“ საქართველოში.

მშენებლობა და სისტემის გამართვა 2008 წლის სექტემბერში დასრულდება.

**ინტერპრესნიუსი**

**შპს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი“, ქ. თბილისი, ს. კედიას ქ. №7** აცხადებს კონკურსს ცენტრის ბალანსზე რიცხული ფართის: I სართული 40,5 კვ.მ.

საწყისი საკონკურსო ღირებულებაა 3 აშშ დოლარის შესაბამისი კურსით ლარებში დღგ-ს გარეშე.

ცენტრის პრივატიზების შემთხვევაში იჯარის ხელშეკრულება ჩაითვლება გაუქმებულად.

ობიექტის იჯარით გაცემის საკონკურსო პირობები:

1. საიჯარო ვადა განისაზღვროს არა უმეტეს 1 წლით;

2. მოიჯარემ დროულად დაფაროს წყლის, ელექტროენერგიისა და დასუფთავების გადასახადები (თანხა არ შედის საიჯარო გადასახადებში).

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება იწარმოებს გაზეთში გამოცხადების დღიდან ბოლო 15 კალენდარული დღის განმავლობაში. კონკურსი გაიმართება შპს „შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის შენობაში 2007 წლის 27 სექტემბერს – ქ. თბილისი, ს. კედიას ქ. №7, ოთახი 20. ტელ. 34-80-47.

## განცხადება

2007 წლის 2 ოქტომბერს დღის 12 საათზე, სოფ. აღთაღლაში მოწვეულია სააქციო საზოგადოება „სოფლმომარაგებას“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება.

სააქციო საზოგადოება „სოფლმომარაგებას“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით კრების სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2007 წლის 12 სექტემბერი.

**დღის წესრიგი:**

1. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები;
2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ხელფასის განსაზღვრა;

აქციონერებს კრებაში თავიანთი მონაწილეობის უფლება შეუძლიათ შეამოწმონ სს „სოფლმომარაგებას“ აქციათა რეესტრის მწარმოებელთან შპს „კაპიტალ-რეგისტრთან“ კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში. მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. №55, ტელ. 23-03-84.

№ 177. ხუთშაბათი. 13 სექტემბერი. 2007 წელი.

„კიას" ფირმის 50 ავტომობილი თბილისის მერიამ 900 ათას ლარად შეიძინა. მედპერსონალი ამ მანქანებით ქალაქის სხვადასხვა ადგილებში პატრულის პრინციპით იმორიგევებს და მოქალაქეებს პირველად სამედიცინო დახმარებას აღმოუჩენს




№ 177. ხუთშაბათი. 13 სექტემბერი. 2007 წელი.

ცხრა მთას იქით

# სწავლების გაპოკერება



ჰარვარდის (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორები მთელი მსოფლიოს უნივერსიტეტების სასწავლო გეგმაში პოკერის შეტანის წინადადებით შემოდიან.

ეს თამაში, როგორც მეცნიერები ფიქრობენ, ერთდროულად მოიცავს გონებრივი უნარის განვითარების უნივერსალურ საშუალებებს, ცხოვრებისეული გამოცდილების საგანძურსა და მორალურ სათნოებათა წყაროს.

აშშ-ის ერთ-ერთ ყველაზე დაფასებულ სასწავლებელში – ჰარვარდის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შემუშავებულია სასწავლო პროგრამებში პოკერის დანერგვის პროექტი. ეს თამაში ჰარვარდელ ექსპერტებს საზოგადოების არაერთი საჭირბოროტო პრობლემის გადაჭრის გზად წარმოუდგენიათ – მოზარდთა დანაშაულებრიობიდან დაწყებული, ვიდრე დიპლომატიურ კრიზისებამდე.

# ორი დღე-ღამე... „ხაფანგში"

**66 წლის მოსკოველი ქალბატონი ნამდვილ სასიყვარულო მახეში გაება. ხანდაზმულმა მანდილოსანს, რომელსაც რომანი ჰქონდა 70 წლის უშიშროების ფედერალური სამსახურის გადამდგარ პოლკოვნიკთან, მორიგი პაემანის დროს უბედურება შეემთხვა.**

...ნათესავები როცა იმ ბინაში მივიდნენ, სადაც წყვილი ერთმანეთს ხვდებოდა და საკუთარი გასაღებით გააღეს კარი, თვალებს არ დაუჯერეს: ტატიანა ივანეს ასული და მისი მიჯნური საწოლში იწვნენ, მამაკაცი მკვდარი იყო, პენსიონერი ქალბატონი კი – ღრმა შოკში ჩავარდნილი...

„სასწრაფოს" მოსვლამდე ქალმა გაჭირვებით ამოილუღლუღა, რომ სატრფო სურვილობის დროს აღესრულა. გამხდარმა ტატიანამ მძიმე ტანის მოშორება ვერ მოახერხა და „ხაფანგში" ორი დღე-ღამე გაატარა.

...მიცვალებულის ქვეშ ამდენ ხანს იწვე და ჭკუიდან არ შეიშალო, ეს თითქმის სასწაულიაო, – უთქვამთ მედიკოსებს.

ამჟამად ტატიანასთან ფსიქოლოგები მუშაობენ, რათა მომხდარის გადატანაში დაეხმარონ.

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

ინფორმაცია

# ახალი „სასწრაფოები" – საპატრულო პოლიციის პრინციპით

**თბილისის მერი გიგი უგულავა გუშინ სასწრაფო დახმარების ცენტრ „033"-ის ახალი, მსუბუქი მანქანების პრეზენტაციას დაესწრო.**

„კიას" ფირმის 50 ავტომობილი თბილისის მერიამ 900 ათას ლარად შეიძინა. მედპერსონალი ამ მანქანებით ქალაქის სხვადასხვა ადგილებში პატრულის პრინციპით იმორიგევებს და მოქალაქეებს პირველად სამედიცინო დახმარებას აღმოუჩენს.

მათ მოვალეობაში არ შედის ავადმყოფის ჰოსპიტალიზება. იმ შემთხვევაში, თუ პირს ჰოსპიტალიზაცია სჭირდება, მოხდება დამატებითი „ემბულეტის" ტიპის ავტომობილების გამოძახება.




რაც შეეხება ავადმყოფის მდგომარეობის კლასიფიკაციას, ამას განახორციელებს ოპერატორი. შესაბამისად, საოპერატოროში გადაწყდება, კონკრეტულ შემთხვევაში როგორი ტიპის მანქანა გავა – მსუბუქი თუ რეანიმაციული.

როგორც თბილისის მერმა გიგი უგულავამ განაცხადა, ეს მანქანები უზრუნველყოფს ქალაქში სასწრაფო მანქანების დაგვიანებების აღმოფხვრას და მოქალაქეები მიიღებენ სრულყოფილ კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებს.

მისივე თქმით, თითოეული მანქანა იმუშავებს საპატრულო პოლიციის პრინციპით ანუ 2 კვადრატზე ერთი სამედიცინო მანქანა განლაგდება და ისინი მოქალაქეებს უახლოეს ადგილებში მოემსახურებიან.

ამასთან, მანქანებში ერთ თვეში ჩამონტაჟდება სარადიოლოკაციო სისტემები, რაც შესაძლებელს გახდის იმას, რომ თითოეული მანქანის ადგილმდებარეობა საოპერატოროში მონიტორზე დაინახონ. შესაბამისად, სამედიცინო მანქანები სპეციალური მონიტორის საშუალებით მიიღებენ მისამართს და რუკას, თუ სად უნდა მივიდნენ სამედიცინო დახმარების გასაწევად.

# კოჯრის რეზერვისტთა ბანაკის ინსტრუქტორს 9 წლამდე პატიმრობა ემუქრება

**კოჯრის რეზერვისტთა ბანაკის ორ წევრსა და მათ ინსტრუქტორს სისხლის სამართლის წესით დასჯა ემუქრებათ.**

პოლიცია სამი პირისთვის აღმკვეთი ღონისძიების სახით ორთვიან წინასწარ პატიმრობას ითხოვს.

ორ რეზერვისტს გუჯეჯიანსა და მართანიანს სამსახურებრივი გულგრილობაში ედებათ ბრალი, რაც ჯარიმას ან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

4-9 წლამდე პატიმრობა ემუქრება მათ ინსტრუქტორს, გვარად ხინჩაგოვს, რომელსაც, გამოძიების მასალების მიხედვით, ურთიერთდაუქვემდებარებელ სამხედრო მოსამსახურეთა შორის დამოკიდებულების წესის დარღვევა ედება ბრალად.

ინტერპრესნიუსი

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-65-87; 899 32-85-76.
კოსტავას 12

ანეკდოტები

– გაიგე, მიხოს რა დამართნია?
– არა.
–თავზე ნაჯახი დასცემია!
– მერე, მომკვდარა?
– რა თქმა უნდა! ნაჯახი ხომ მოწამლული იყო!

• • •



– სამშობიაროში! – მოკლედ მოჭრა ტაქსში ჩამხტარმა ქალმა.
მანქანა შურდულივით მოსწყდა ადგილს.
– მთლად ასე თავპირის მტვრევითაც ნუ გარბიხარ, იქ ვმუშაობ!

• • •

განცხადება „მარშრუტკაში": „ძალიან გთხოვთ, მზესუმზირა ჩენჩოიანად ჭამოთ".

• • •

– მიხო, არ დადგა იმის დრო, რომ საქმეს მოჰკიდო ხელი?
– ნუ მასწავლი, ამაზე ისედაც დიდი ხანია ვფიქრობ.
– არა, შვილო, საქმე ის კი არ არის, რომ ფიქრობ, არამედ ის, რომ აკეთებ.

• • •

მიხო გოგოსთან ერთად საწოლში ნებივრობს. გოგო ვნებიანად ეკვრის მკერდზე და ეჩურჩულება:
– ოდესმე მოგნდომებია, რომ გოგოსგან მიიღო რაიმე არაჩვეულებრივი?
– კი.
– მაგალითად?
– „მერსედესი" ან „ფერარი".

კადრი



გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა შაბათს, 15 სექტემბერს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაკსიმუმში" ტელ: 95-11-82

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის" დამფუძნებელი ჟურნალისტები.
შპს „თანადგომა -1"
დავით ალმაშენებლის 150.
899 79-76-79
მისამართი: კოსტავას ქ. № 12.
ტ: 98-65-87; 899 53-76-16.

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86.

მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
899 36-00-35; 899 53-76-16; 899 17-21-21.

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეკვეთილი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.